ნინო ხარატიშვილი

ჩემი საშინელი ბედნიერების წელიწადი

(მელოდრამატული, პათეტიკური, კიჩური, ჰო, ეგ არის, კიჩური მელოდრამა)

”სიყვარული მძიმე დანაშაულია, რომლის ჩადენაც შეუძლებელია თანამზრახველთა გარეშე”

ბოდლერი

პერსონაჟები:

დარიო
ივი, ან რამდენიმე ქალი სხვადასხვა ასაკში
არიანე
რესო

პროლოგი პროლოგის წინ.

/ქალების ქორო - სპექტაკლში მონაწილე ყველა ქალი/

_ მინდა ჩემი თავგადასავალი გიამბოთ, ჩემი თავგადასავალი. ჩემი. ჩემი. ჩემი თავგადასავალი. ეს სასიყვარულო ამბავია. უფრო ზუსტად კი - ცხოვრებისეული. თუმცა რა განსხვავებაა, დღემდე ვერ ვხვდები. მაგრამ პრობლემა ის არის, რომ ეს გრძნობიერი ისტორიაა, სავსე გრძნობიერი სიტყვებით, ჩემი ნათქვამი და ჩემთვის ნათქვამი სიტყვებით, მტვერივით რომ შემომრჩენია, - პატარა, პაწაწუნა მტვრის ნაწილაკები,- და ვერაფრით მომიშორებია, თუმცა ათასნაირი მტვერსაწმენდი , ჩვარი და რა აღარ ვცადე.

_ პრობლემა სწორედ იმაშია , რომ ეს სასიყვარულო ისტორიაა, ჩვენ კი ნამდვილად არ გვინდოდა ბებიაჩემისდროინდელი კლიშეების გამოყენება, გვინდოდა გვეცადა სულ სხვა რამ მოგვეთხრო, რაღაც ტრანსცენდენტალური, დისკურსივური, რაღაც...

_ ბოდიში რა! ხომ შევთანხმდით, რომ ლირიკული გადახვევებისგან თავს შევიკავებდით?

_ ასე არაფერი გამოვა!

_ რაკი შესაძლებლობა მომეცა , თუნდაც ჩემი მოპოვებული იყოს ეს შესაძლებლობა, უნდა გამოვიყენო. აქ სწორედ ამიტომ ვდგავართ, რომ გიამბოთ თავგადასავალი.

_ ჩემი.

_ ჩემი.

_ ჩემი.

_ თავგადასავალი.

_ მაგრამ როგორც უკვე გითხარით, პრობლემა გვაქვს, - გრძნობიერი ისტორიაა, და მისი მოყოლა შეუძლებელია სხვანაირად. ანუ პათეტიკის გარეშე, “პათეტიკა” კი თავიდან მხოლოდ და მხოლოდ ვნებას ნიშნავდა, მე საგანგებოდ გადავამოწმე, გასაგებია? ზოგ-ზოგების გასაგონად ვამბობ, რომ არ დაიწყონ მერე ინტელექტუალური გატრაკება და მომაკვდინებელი არგუმენტების მოყვანა - ქალები არაფრის აზრზე არ არიან, მხოლოდ გრძნობებით ხელმძღვანელობენ, და ამიტომ საერთოდ უნდა მოკეტონ.

_ მორჩი რა!

_ ბოდიში, არ გამოვა. ეს უნდა ითქვას. ახლა და აქ!

_ მოკლედ, თავგადასავალი, მთელი ამბებით, და პირველ რიგში ამ დედააფეთქებული სიყვარულით, რომლის გამოტოვება აქ მართლა არაფრით არ შეიძლება, სამწუხაროდ შეუძლებელია. ქალებს ვერ გავექცევით. იცით, ჩემმა ფიზიოთერაპევტმა რა მითხრა ამასწინათ? თურმე დიდმკერდიანი ქალების ზურგებს საფრთხე ემუქრებათ. ქვეტექსტი კი იცით რა იყო? - მკერდი საფრთხეა, გენაცვალე, ზედმეტი ესტროგენი საფრთხეა, გრძნობიერი ისტორია საფრთხეა, ნუ გადაიქცევი საფრთხედ, გთხოვ, ძალიან გთხოვ, ნუ იქნები განსხვავებული, ნუ გახდები პრობლემა...

_ მორჩი , ეგ რა შუაშია!

_ ბოდიში, მაგრამ არ გეჩვენებათ, რომ ცოტა უხერხულია?

_ მე. უფრო სწორად, ჩვენ, ... ჩვენი კლიშეებით რომ არ შეგვაფასონ-ჩამოგვაფასონ... სიამოვნებით დავდგებოდით სიყვარულზე მაღლა და საქმიანად წარმოგიდგენდით ჭკვიანური ციტატებით სავსე მოხსენებას...

_ თეორიულ კვლევებზე დაფუძვნებულს.
_ რაც უდავოდ შეუწყობდა ხელს მაყურებელთა ცოდნის გაღრმავებას და ახლებურ ხედვას.
_ მე კი სიამოვნებით წარმოვადგენდი ნათელ და რაც მთავარია, გააზრებულ პოზიციას ამ თემასთან მიმართებაში. ობიექტურს, დისტანცირებულს, ცინიკურს. რაც მთავარია, ცინიკურს. ჩვენი დროის შესაფერისს!
_ მართლი გითხრათ არ გვინდოდა სასიყვარულო ამბის მოყოლა..
_ იმიტომ, რომ ვიცით რასაც იტყვიან: "ქალის თვალსაზრისი"... და ამოიოხრებენ...
_ ცოტა ეკზოტიკაც არ იქნებოდა ურიგო.
_ და აუცილებლად ახალგაზრდული უნდა იყოს. ვინ არის აქ ყველაზე უმცროსი? მოდი, შენ იქნები ჩვენი წარმომადგენელი, კარგი? შენ ახალგაზრდა ხარ და ქალური. რომელია ჩვენს შორის ეკზოტიკური... შენ გვერდით მიუდექი და ერთად წარგვადგინეთ, შევთანხმდით?
_ ასე მართლაც ყველა მიმართულებას მოვიცავდით.
_ შეგვეძლო ჩვენი თავგადასავალი ინტელექტუალურ, პერფორმატიულ, ძალიან ფორმალურ ფორმაში მოგვექცია, დაგვენგრია კლიშეები და ხმამაღლა გვეთქვა: აი, მიგვიფურთხებია ქალური პათეტიკისთვის.
_ მაგრამ..
_ ჩვენი თავგადასავალი სამწუხაროდ ასეთი არ არის..
_ ის ისეთია როგორიც არის.
_ მგონი არაფერიც არ გამოგვდის.
_ მეც ასე მგონია
_ სულ სხვანაირი შესავალი უნდა გაგვეკეთებინა.
_ რას გულისხმობ?
_ ასე არ უნდა დაგვეწყო
_ მე არაფერ შუაში ვარ
_ არ გამოდის სხვანაირად და რას იზამ.
_ გამოვა.
_ არ გამოვა.
_ კარგი რა, უხერხულია. გაჩერდით.
_ აღიარეთ, რომ შეუძლებელია.
_ გეყოფა!
_ მე მაინც მგონია , რომ შესაძლებელია.
_ ჩემი აზრით შეუძლებელია.
_ დამშვიდდი რა.
_ რატომ ღელავთ, ყველაფერი კარგადაა.
_ არ გადამრიო, რა არის კარგად? რას ვეჯიბრებით ერთმანეთს მობოდიშებაში? რაცა ხარ ეგა ხარ და ესა ვარ, რაცა ვარ და რაცა ვართ ესა ვართ და ვყვებით ისე, როგორც უნდა მოვყვეთ ეს ჩვენი თავგადასავალი.
_ მელოდრამატულად.
_ პათეტიკურად.
_ კიჩურად.

_ კი ბატონო, თანახმა ვარ, თუნდაც კიჩურად.
_ თქვენი აზრით ეს ხელოვნების ფორმაა?
_ ბოდიში, მაგრამ ერთ გამოფენაზე 13 პოლაროიდი ვნახე, წებოვანაზე ეკიდა და მათზე 13 ... სასირცხვო თმა იყო გამოსახული, ყოველ სურათზე თითო თმა და ერქვა: ოლ მაი ლავერს, ანუ...
_ არ გეჩვენებათ, რომ თემიდან გადავუხვიეთ?
_ რა სასირცხვო თმები? ეს უკვე მართლა სამარცხვინოა, მოდით რა...
_ მოდი დავიწყოთ!
_ ვინ უნდა მიკარნახოს, როგორი ფორმა შეეფერება ჩემს თავგადასავალს?
_ არც არავინ.
_ ჩვენ.
_ მე.
_ რა სისულელეა.
_ თუმცა, სასირცხვო თმა...
_ ნუ წაიღე ტვინი ამ სასირცხვო თმით!
_ კარგი ბატონო.
_ და მაინც, ფორმას რაც შეეხება, უნდა გადავწყვიტოთ..
_ იცით რა ვერ გავიგე, მელოდრამა, და სხვადასხვა კლიშეები, რომელთა გამოყენებაც მოგვიწევს, როგორ უნდა ჩავსვათ თანამედროვე ფორმაში?
_ ჩვენ გვინდოდა მაქსიმალურად ფორმალისტური...
_ მე მეგონა, კუბისტური ან უკიდურეს შემთხვევაში, მინიმალისტური მაინც.
_ ან აბსურდისტული.
_ ეგეთი რამე სართოდ არ არსებობს.
_ დაგენიძლავები რომ არსებობს
_ ეგზისტენციალისტური ან...
_ დადაისტური.
_ ეგ უკვე დიდიხანია წარსულს ჩაბარდა..
_ პერფორმატიული.
_ ჰეპენინგი!
_ მოდერნი.
_ ჰო, მოდერნი..
_ მეტი აღარაფერი მახსენდება.
_ აი სასირცხვო თმები კი ...
_ როგორ არ გესმით? იმ ადამიანმა თავისი შინაგანი სამყაროს გამოხატვა სცადა...
_ სასირცხვო თმების საშუალებით?
_ თუნდაც.
_ ესეიგი, ჩვენი ისტორიისთვის თანამედროვე ფორმა არ არსებობს?

_ ესე იგი არ არსებობს სიყვარულის თანამედროვე ფორმა?
_ ტყუილად ვკარგავთ დროს...
_ ფორმაზე ხომ უნდა შევთანხმდეთ.
_ რისთვის?
_ იმისთვის, რომ მელოდრამატული.
_ პათეტიკური.
_ კიჩური.
_ ჰო, ჰო, კიჩური.
_ და რაც მთავარია, ქალური...
_ არ გამოგვივიდეს.
_ კი მაგრამ, რა არის ამაში ცუდი?
_ მე რა ვიცი.
_ ვიღაცვიღაცეებს არ ესიამოვნებათ.
_ ეგ ვიღამ თქვა?
_ თანამედროვე ხელოვნებამ.
_ იქნებ მე არ მინდა ფორმალურად განცდა. იქნებ თმების გლეჯა მინდა და ჭიქების მსხვრევა და ფრჩხილების კვნეტა და ტირილისგან დასიებულ თვალებზე ყინულების დადება, იქნებ მინდა ბოლომდე ვიბრძოლო და...
_ კარგი, დაწყნარდი.
_ ძალიან კარგად მესმის. არც მე მინდა ფორმალურად განცდა. საერთოდ რაზე ვლაპარაკობთ?
_ ეს ხომ ჩვენი პირადი საქმე არ არის, ვერ აცნობიერებთ, რომ მხოლოდ ჩვენ არ გვეხება?
_ მერე რა... ავდგე და ვიკითხო, ვის სურს, რომ ფორმალურად განვიცადოთ?
_ ბოლოს და ბოლოს, გვაქვს ფორმა თუ არა?
_ სასირცხვო თმა მაინც...
_ ერთხელ კიდევ ახსენებ მაგ დედააფეთქებულ სასირცხვო თმას და ღერა-ღერა დაგაწიწკნი , აქვე გამოვფენ და სათაურსაც მივაწერ: თანამედროვე ხელოვნება მოკვდა.
_ აი ეს მომწონს.
_ მაგარია, და მერე?
_ რა მერე?
_ რა მერე ! ახლა რა ვქნათ?
_ მოდი რა, უბრალოდ მოვყვეთ ჩვენი თავგადასავალი.
_ ჩვენი
_ მელოდრამატული
_ პათეტიკური
_ კიჩური
_ დიახ.
_ კიჩური
_ თავგადასავალი.

პროლოგი

/სიბნელე. სიბნელე. სიბნელე. მანქანის შუქი, თვალისმომჭრელი. სადღაც შორს./

ივი - სადა ვარ? და რა არის ეს სად? მიწაზე მკვდარი ხოჭოა. ხელის გულს ვაფარებ და უკანასკნელ პატივს მივაგებ. სისხლის გემოს ვგრძნობ ენაზე. სადა ვარ? ვერ ვმოძრაობ. ფეხი გაჭედილი მაქვს. ზემოდან შავი, განრისხებული ცა დამცქერის, ღრუბელი მიუფარებია, თითქოს სცივაო, ცას. მეც. რატომ არაფერს მაფარებენ? არავინაა აქ? სულ არავინ? ეს რა, ბუჩქნარია? შორს მდელოს ვხედავ. ჩემს გვერდით კი არყის ხეა, ლამაზი, ტანწერწეტა არყის ხე. ბუჩქები, ეკალბარდები.
რაღაც მესმის. არის მანდ ვინმე? ხელისგულები მიწით მაქვს სავსე. აქ ვინ მომიყვანა? იქნებ მკვდარი ვარ, ვფიქრობ და თან იდაყვებზე წამოწევას ვცდილობ. მზერა. თვალი უნდა მოვავლო არემარეს. მეტიმეტად ბნელა.
შარაგზა, ტყისკენ უხვევს, ეს ტყეა? ჩემი მარცხენა ფეხსაცმელი იმ ბუჩქთან გდია, ეკლიანთან. მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი. რა მინდა ტყეში მაღალქუსლიანი ფეხსაცმლით? საერთოდ რა მინდა ტყეში? რატომ არა ვარ მკვდარი? რატომ მდის სისხლი?
ქუჩის მოპირდაპირე მხარეს ვხედავ. იქ რაღაც ანათებს. მანქანის შუქია. არ ვიცი სად ვარ , არ ვიცი ვინ ვარ. არც მანქანა მეცნობა და არც მამაკაცი, მანქანაში რომ ზის. საჭესთან. თავით საჭეზე, სამაგიეროდ მეცნობა მელოდია, რომელიც მანქანიდან ისმის. მე ხომ ვიცი ეს სიმღერა. “გლუმი სანდეი”. ვიცი, რომ უნგრელის დაწერილია. არ ვიცი, მკვდარი ვარ თუ ცოცხალი, მაგრამ “გლუმი სანდეი” თვითნასწავლი უნგრელის დაწერილი რომ არის, ვიცი, მას ერქვა... მას ერქვა. ამას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, უნდა გავიხსენო. უნდა... შერეში ერქვა. ამ სიმღერას უნგრულ თვითმკვლელობასაც უწოდებენ. ესეც მახსოვს. მამაკაცი საჭესთან არ იძვრის. მარცხენა კარი ღიაა. მძღოლის გვერდით ადგილი - ცარიელი. იქ მე ვიჯექი, ვიცი. რატომღაც ვიცი. ოღონდ ეს ვერაფერი ნუგეშია. ის კაცი, იქ, არ იძვრის.
მანქანა ძრავით ლამპიონს ჩახუტებია. ჩამქრალს. არ ვიცი ვინ არის ის კაცი. არ ვიცნობ. თუმცა მის გვერდით ვიჯექი, მე იქ ვიჯექი. “გლუმი სანდეი” გრძელდება. უსასრულო შლეიფივით. უცებ ვხვდები, რატომ ქვია ამ სიმღერას უნგრული თვითმკვლელობა.. ჩემი დაკრძალვაა და შემიძლია თვითონ ვიმღერო. მაგრამ ნელნელა ტკივილი მეწყება, თანდათან მუხლის ფეთქვასაც ვგრძნობ და სიმხურვალესაც. საკუთარ სხეულს ვგრძნობ. მე ცოცხალი ვარ, ახლა უკვე ვიცი, ცოცხალი ვარ, ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ.

1. მოსაცდელი ოთახი. ცხელი და დახუთული.
დარიო და ახალგაზრდა გოგო.

დარიო - როგორ ცხელა, არა?

გოგო- ჰო, ძალიან.

დარიო- ეს ვენტილატორებიც ...

გოგო- ჰო, აუტანელია.. ელოდებით?

დარიო- დიახ, ჩემს ცოლს. ეს მისი კლინიკაა. გადავწყვიტე გამოვგლიჯო დღეს თავის ქალბატონებს, რომ გამონაკლისის სახით მამაკაცის, კერძოდ კი ჩემი საზოგადოებით დატკბეს. ჯერ არც კი იცის, როგორ გაუმართლა. მინდა ვახშამზე დავპატიჟო.

გოგო- ალბათ ბედნიერი იქნება - ქალებისა და მათი პრობლემების გარეშე

დარიო- თქვენ მიღებაზე ხართ?

გოგო- არა, მხოლოდ და მხოლოდ მეგობარს ველოდები.

დარიო- გასაგებია. შეიძლება გკითხოთ, რას საქმიანობთ?

გოგო- მე მსახიობი ვარ, ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ვაპირებ გავხდე.

დარიო- რა ამაღელვებელია.

გოგო- ჰო. და თქვენ?

დარიო- მე მკვლევარი ვარ. არქეოლოგია. მკვდარი კულტურები. ძველი ეგვიპტის სპეციალისტი ვარ. გამოდის რომ თქვენ თანამედროვეობით ხართ დაკავებული, მე- წარსულით. მაგრამ, მგონი ერთსა და იმავეს ვეძებთ.

გოგო- საინტერესო მოსაზრებაა. ხომ ვერ მეტყვით, რას ვეძებთ?

დარიო- მე ვიტყოდი, მიზეზებს.

გოგო- რისას?

დარიო- ყველაფრის.

გოგო- მე ასე ვერ ვიტყოდი.

დარიო- ესე იგი თქვენ არ ეძებთ..

გოგო- მე უბრალოდ ვცდილობ მიზეზების აუცილებლობა გავარკვიო.

დარიო- მაგრამ ყველაფერს ხომ არა აქვს მიზეზი. გარწმუნებთ, რომ სწორედ ეს იწვევს იმედის გაცრუებას ჩვენი მოღვაწეობის სფეროებში, ხშირად ეძებ და ეძებ და ბოლოს მაინც ხელცარიელი დგახარ. მაგრამ ამავე დროს სწორედ ეს არის ყველაზე საოცარი ამ ძიებაში, სწორედ ამას მოაქვს შვება. ზოგიერთი მოვლენა არ ექვემდებარება არანაირ კანონზომიერებას, აუხსნელია გამომწვევი მიზეზები. ამის გამო წვდომის ჟინი უსასრულოა და მაძიებელი განწირულია მარადიულ “უმიზეზო” ძიებაზე

გოგო- მაგალითად? რა შეიძლება იყოს უმიზეზო?

დარიო - სიყვარული?

გოგო- ვერ დაგეთანხმებით.

დარიო - მე მეგონა მიზეზების მიმართ სკეპტიკურად ხართ განწყობილი.
გოგო- როგორც გითხარით, გარკვევით ვარ დაკავებული და რაღა უნდა გავარკვიო, თუ გასარკვევი არაფერია?!

დარიო- განა ზოგჯერ ასე არ ხდება?

გოგო- მე ვფიქრობ, ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს და თუ მას ვერ ვხედავთ, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ის არ არსებობს. თავისი მიზეზი აქვს იმასაც, რომ ერთი გარკვეული ადამიანი გვიყვარს და არა სხვა.

დარიო- და რა შეიძლება ეს იყოს?

გოგო- ალბათ სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა რამ.

დარიო- თქვენს შემთხვევაში?

გოგო- მაგარია! კარგი, პირველ შემთხვევაში ეს მისი /იამოჩკი/ იყო და ხის სურნელი, მეორე შემთხვევაში - ერთგვარი აღფრთოვანება მისი ნიჭით, რაც მოგვიანებით სრული სიცრუე აღმოჩნდა, მესამე შემთხვევაში კი .. მოკლედ იმ შემთხვევაში ეს უბრალოდ სნეულება იყო.

დარიო- სნეულება? თქვენ იმ მამაკაცს თანაუგრძნობდით?

გოგო- არა, არა. ისე მინდოდა ამ ადამიანს შევყვარებოდი, რომ დავავადდი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით და იმდენ ხანს ვიყავი ავად, სანამ არ შემიყვარა. მერე კი სრულიად განვიკურნე და შესაბამისად ჩემი გრძნობაც გაქრა. ვიღაცამ თქვა, სიყვარული წვნიანი კერძივითაა, დასაწყისში მეტისმეტად ცხელია, ბოლოში კი მეტისმეტად ცივიო.

დარიო- ეგ ალფონს კარმა თქვა, ფრანგმა მწერალმა. მართალი გითხრათ, ეჭვი გამიჩნდა..

გოგო- რა ეჭვი?

დარიო- რომ თქვენ ნამდვილი სიყვარული ჯერ არ გამოგიცდიათ.

გოგო- ყველაფერი შედარებითია. ზოგი უფრო მეტ სიყვარულს ითხოვს, ვიდრე თვითონ შეუძლია მაგრამ განა თქვენი სიყვარული ცოლისადმი უმიზეზოა?

დარიო- დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ ის ძალიან ჭკვიანია, მომთმენი, მიმტევებელი, თავგანწირული. ბევრი კარგი თვისება აქვს. თანაგრძნობის უნარი, თავშეკავებულობა... მაგრამ ეს არ კმარა ჩემი სიყვარულის ასახსნელად.

გოგო- მეტი რაღა გინდათ.

დარიო- ასეთივე წარმატებით შემიძლია ვთქვა, რომ ძალიან ცვალებადი ხასიათი აქვს, რომ ჯიუტი და გულღრძოა, ძალიან ეჭვიანია, ძალიან... საკმარისია იმისთვის, რომ არ მიყვარდეს.

გოგო- ალბათ. მაგრამ ეტყობა კარგმა მიზეზებმა მაინც გადაწონეს და....

დარიო- ძველ ეგვიპტელებთან საიქიოს ღვთაება იმავე დროს ნაყოფიერების ღმერთი იყო.

გოგო- ამით რისი თქმა გინდათ?

დარიო- უბრალოდ ვფიქრობ რომ ხშირად მიზეზი წინააღმდეგობაშია, თუ საერთოდ არსებობს. ის, რასაც თქვენ სნეულება უწოდეთ და შემდეგ წვნიანს შეადარეთ, ჩემი აზრით კაპრიზია, განწყობილება - რაღაც ძალიან ნორჩი, რაც თქვენ ნამდვილად შეგეფერებათ/რისი სრული უფლებაც გაქვთ. ყველაფრის მიზეზი რომ არსებობდეს, ცხოვრების გაგრძელებას აზრი აღარ ექნებოდა.
ჩემი ცოლის ხმა მესმის. მოხარული ვარ რომ გაგიცანით. ყურადღებით მივადევნებ თვალს თეატრალურ აფიშას.

გოგო- აფიშებზე ჩემი გამოჩენა ჯერ ადრეა. ნახვამდის.

2. თეატრის კაფე. გვიანი ღამე. სიგარეტის ბოლი კედლებს აკვრია.
დარიო და ახალგაზრდა გოგო.

გოგო- დიდი მადლობა ყვავილებისთვის, საგრიმიორო ვარდების სურნელითაა გაჟღენთილი...გამიკვირდა, რომ მიპოვეთ.

დარიო- არც ისე დიდი დრო დაგჭირდათ აფიშებზე გამოსაჩენად. მე კი დანაპირებს ყოველთვის ვასრულებ.

გოგო- ეს ხომ სულ ერთი ბეწო როლია...

დარიო- თქვენ მომხიბვლელი იყავით, ქალბატონო.. მომაჯადოებელი.

გოგო- დიდი მადლობა. მეუღლე როგორ გყავთ?

დარიო- გმადლობთ, კარგად.

გოგო- ძალიან სასიამოვნოა. ძველი სამეფოები და გადაშენებული დინასტიები რას შვრებიან?
დარიო- ხმას არ იღებენ. დუმილს აგრძელებენ. და კვლავ გამოცანებს გვთავაზობენ. სამი თვე უდაბნოში მომიწევს ყოფნა და როცა დავბრუნდები, დარწმუნებული ვარ დეზდემონას როლში გიხილავთ.

გოგო- რატომ მაინცდამაინც დეზდემონა?

დარიო- საინტერესო იქნებოდა თქვენი ნახვა იმ ქალის როლში, რომელიც სიყვარულს ეწირება. ის ხომ მართლა ძალიან დარწმუნებულია თავის გრძნობებში.

გოგო- მაინც რატომ გინდა დამარწმუნო, რომ ვცდები , რაკი არ ვიტანჯები, რალი თავს არ ვიკლავ, რაკი ავად არ ვარ? გამოგიტყდები, რომ მართლა სიამოვნებით ვიხსენებ ჩვენს პირველ შეხვედრას, მსუბუქ საუბარს, მახალისებს შენი აზრები სამყაროს შესახებ, სნეულების შესახებ, რომელსაც სიყვარული ქვია. ისიც მსიამოვნებს, რომ მომძებნე, და ჩემი სამწუთიანი როლის სანახავად მოხვედი, მაგრამ რისთვის?

დარიო- მინდოდა გამერკვია, კვლავინდებურად ჯანმრთელი ხარ, თუ არა.

გოგო- ვარ. და ასეთად ვაპირებ დარჩენას.

დარიო- ეს მახარებს. ერთი ციტატა გიპოვე: სიყვარული ყველაზე ჯანმრთელი სნეულებაა.

გოგო- დავმშვიდდი, - გამონაკლისი არ ვყოფილვარ.

დარიო- უბრალოდ მე კვლევა მიტაცებს. ძალიან მაინტერესებს, რამდენად შეიძლება დასნეულდეს ადამიანი ისე ,რომ არ მოკვდეს. ვფიქრობ, შენ არასოდეს დაემორჩილებოდი სნეულებას, შეძლებდი მის დამარცხებას, ციებ-ცხელების, გაგიჟების, და ეიფორიის მიუხედავად.

გოგო- არაფერი მაქვს იმის საწინააღმდეგო, რომ ცოტა ავად გავხდე, ერთი-ორი პატარა გრიპი გადავიტანო, - ეს ხომ იმუნიტეტს აძლიერებს,- მაგრამ ყოველთვის მახსოვს ყველაზე დიდი სნეულება. არ მინდა ვინმემ ან რამემ დამამარცხოს. ერთადერთი სნეულება, რომელიც მინდა რომ შემეყაროს, დიდი ხანია აღმოვაჩინე, და ის აქ არის. თეატრში. მე აქ მიყვარს და აქ ვიტანჯები, ჯერჯერობით ეს მყოფნის.

დარიო- შეიძლება ვცდები და ყველა არც უნდა დაავადდეს.

გოგო- შეიძლება ასეცაა. თანაც მე ვთვლი, რომ შენ ბედნიერი კაცი ხარ. მთელი შენი თეორიებით, მიზეზებით, კვლევებით და რაც მთავარია შენი მეუღლითურთ, ასე რომ...

დარიო- შეიძლება ღვინო შემოგთავაზო?

გოგო- მომისმინე, მოკლედ გეტყვი: მე ბოლომდე ვიბრძოლე ამ სამი წუთისთვის. წარმატებისთვის თავი არ დამიზოგავს, მზეში ადგილის მოსაპოვებლად ყველა ღონე ვიხმარე და მომავალშიც იგივეს გავაკეთებ. მამაკაცს კი, რომელიც კარგი მოსაუბრეა, მაგრამ რომელიც მისი მეუღლის კლინიკაში გავიცანი, არავითარ შემთხვევაში არ მივენდობი.
დარიო- საოცარი ღვინოა, ბოლო მოსავალი ჩილიდან, ძალიან არომატული და მსუბუქი...

3. დარიო და ახალგაზრდა ქალი. ორივე შიშველია. კაცი ქალის სხეულზე ხატავს.

ქალი- რას აკეთებ? მორჩი. მაინც ჩამოვიბან. რას წერ? შეწყვიტე. დარიო!

დარიო- ისეთი ლამაზი ხარ. მე კი შემიძლია ისევ ახალგაზრდა ვიყო და სისულელეები ვაკეთო. თანაც იქნებ ვეღარც ჩამოიბანო. დაღდასმული მეყოლები.

ქალი- მგზავრობა მართლა გადადე?

დარიო- მკვდარი ეგვიპტელები მოიცდიან, ეს მართლა კარგად გამოსდით. ასეული წლებია იცდიან, ერთი ორი კვირა რაღას დააკლებთ. შენს პრემიერას ხომ ვერ გამოვტოვებდი!

ქალი-/ წამოიყვირებს/

დარიო- მაპატიე!

ქალი- გამეკაწრა.

დარიო- მაპატიე, აღარ ვიზამ.

ქალი- კარგი. როგორ მოგწონს ერთდროულად ორი ცხოვრება?

დარიო- ისევ დაიწყე?! ტვინს თუ წაიღებ, ისევ გაგკაწრავ. თავის დროზე ყველაფერი იქნება. თანაც მე ორი ცხოვრება არცა მაქვს. საერთოდ არ მქონდა ცხოვრება , სანამ შენ არ ამიხსენი, რომ მიცვალებულებს ზედმეტ დროს ვუთმობ.

ქალი- დარწმუნებული ხარ? დარწმუნებული ხარ, რომ ასე გინდა? რომ სწორია ასე...

დარიო- გადაბრუნდი, აქ ადგილი აღარ დარჩა . ახლა მუცელზე გავაგრძელებ. რუკას ვხატავ, ძველი ნილოსის რუკას. ამბობენ, რომ სწორედ აქ, ჩრდილოეთით, ნილოსის მარცხენა ნაპირზე, ოდესღაც ტაძარი ყოფილა, სადაც განრისხებული ქმრებისგან , მეფეებისგან და მამებისგან გამოქცეული შეყვარებულები იმალებოდნენ. მათი განშორების მოსურნე მდევრებს არ შეეძლოთ ტაძარში შესვლა, რადგან ისინი სიყვარულის ღმერთებს არ ეთაყვანებოდნენ, მიჯნურები კი უზენაეს მფარველობასა და თავშესაფარს პოულობდნენ იქ.

ქალი- სულ ტყუილად ირჯები? შხაპს მივიღებ და ყველაფერი გაქრება, რაც შექმენი.

და- სწორედ მაგიტომ. არაფერი ღირს დასამახსოვრებლად, ანაბეჭდები მხოლოდ დასავიწყებლად არის საჭირო.

ქალი- რა უაზრობაა. რაღაც ხომ უნდა დარჩეს... ფიქრები მაინც. შეუძლებელია იმის წაშლა, რაც ერთხელ მაინც გიფიქრია, ანაბეჭდები სამუდამოდ უნდა რჩებოდეს. თუმცა შენი ანაბეჭდი ჩემზე... ზოგჯერ მაშინებს, დარიო.

დარიო- მე ვფიქრობ, ჩვენ სწორედ იმიტომ ვეძებთ, რომ მერე უკეთესად დავმალოთ. დავიწყებას ზოგჯერ არაფერი ჯობია.

ქალი- მე არ მინდა უკვალოდ გავქრე.

დარიო- რაც უფრო მეტს გავცემთ, განა უფრო ღირებულები არ ვართ?

ქალი- ეს სიტყვებია მხოლოდ. შენ მეოცნებე ხარ, დარიო. არც კი ვიცი ამდენ ოცნებები,- სხვისი ოცნებები საშიში ხომ არ არის. მე ამდენი ლაპარაკი არ შემიძლია, ვიკარგები ამდენ სიტყვებში.

დარიო- ახლა შენი მარცხენა მკერდი მჭირდება. აქაც აღარ არის ადგილი..

ქალი- რატომ შეირთე შენი ცოლი?

დარიო- მოვეშვათ ამ თემას.

ქალი- მეღიტინება.

დარიო- ჰოდა გავაგრძელოთ აქ ღიტინი.

ქალი- დარიო... შემომხედე.

დარიო- რა იყო?

ქალი- შემომხედე, გთხოვ! მგონი ავად ვარ.

დარიო- ეს ხომ არაჩვეულებრივია. მე მინდა, რომ აღარასოდეს განვიკურნო.

4. ზამთრის დათოვლილი დღე, რომელიც სასტუმროს თეთრ ლოგინში ჩაწოლილა. დარიო და ახალგაზრდა ქალი.

დარიო- უნდა მოვრჩეთ.

ქალი- რა კარგია აქ წოლა. შენთან ერთად. ჯერ კიდევ

დარიო - უნდა შევწყვიტოთ.

ქალი- უნდა მიმატოვო?

დარიო- არიანე რაღაცას ხვდება. არ არის ეს კარგი. ვერ იქნება კარგი.

ქალი- თუ შენ გაბედავ, მაშინ მე ურჩხულად გადავიქცევი. ქვესკნელის ბინადრად, რომელთაც ასეთი გატაცებით იკვლევ. რა, ვეღარაფერს გრძნობ?

დარიო- ნეტა ვეღარაფერს ვგრძნობდე.

ქალი- მიზეზი გამოგელია? ვერ გაგიშვებ. არ შემიძლია.

დარიო- არავითარი მიზეზი არ არსებობს, შეიგნე რა.

ქალი- მომეფერე რა.

დარიო- ორსულად არის, ამის დედა ვატირე, გესმის! შვიდი წელია ბავშვი უნდა, შვიდი წელია ცდილობს და.. გესმის თუ არა!

ქალი- მაშინ მოწყალება მაინც გაიღე და უკანასკნელად მომანიჭე სიამოვნება.

დარიო- მე სიამოვნების მომნიჭებელი არა ვარ.

ქალი- ჰო, მართალია. რა აბსურდია. ნამდვილი აბსურდია

დარიო- შეწყვიტე! თავს რატომ იმცირებ... რა არის სასაცილო? სულ ბავშვზე ოცნებობს, რაც ერთად ვართ, ყოველთვის უნდოდა ბავშვი. ყველაზე მეტად ეს უნდოდა...

ქალი- თუ წახვედი, სად წახვალ?

დარიო- ჩემთან, უნდა დავბრუნდე, უნდა გავერკვე, უნდა.. ისევ მე უნდა გავხდე, ასე არ შემიძლია..

ქალი- როცა აქ ხარ, ჩემთან, ხომ შენ ხარ.

დარიო- რატომ ვერ ჩერდები? რატომ ვერ ამჩნევ, რომ აღარაფერი გამოდის? რატომ ამბობ უარს იმაზე, რითიც სხვებისგან გამოირჩევი? რატომ არსებობ მხოლოდ იმ საათებში, როცა გირეკავ და აქ მოვდივართ. რატომ აღარ ცხოვრობ... როგორ მაოცებდა შენი დამოუკიდებლობა, შენი ტალანტი, შენი მიზანდასახულობა... რატომ აღარ ხარ ისევ ის?

ქალი- შენ არ იყავი ჩემი დათრევა რომ მოინდომე?, შენ არ იყავი, რომ მოხვედი და აღარ წახვედი... ახლა აქ ვართ. შენ კი მეუბნები, რომ ის ორსულადაა. სასაცილოა სატირალი რომ არ იყოს.

დარიო- გულისამრევია ეს შენი პათეტიკა. მე მივდივარ. ახლა მივდივარ და მერე მართლა წავალ.

ქალი- შენი პათეტიკაა გულისამრევი. მომეფერე რა.

დარიო- ეს ხომ ტყუილი იქნება. მე რა, ვოცნებობდი შენზე, მინდოდა , რომ ჩემი ცხოვრება ყირაზე დაგეყენებინა თუ რა...

ქალი- შენ ცხოვრება საერთოდ არ გქონდა, შე ტრაკო. გამწარებული ეძებდი, ვიზე დაგეცალა შენი დაგუბებული სურვილები, შენი დამპალი ოცნებები, მთელი შენი დაუკმაყოფილებელი ჟინი, უბრალოდ შემთხვევით მე წამაწყდი და ...

დარიო- ესეც ასე... აქამდეც მივედით. ყელში ამოგვივიდა ერთმანეთი და დღეიდან უკვე ყველაფერი მხოლოდ მოსაწყენი და მოსაბეზრებელი იქნება. ამიტომ... უნდა მოვრჩეთ.

ქალი- არ დავუშვებ, რომ ასე უბრალოდ გადამიარო.

დარიო- ნუ სულელობ რა.

5. დარიო და ახალგაზრდა ქალი. ცარიელ, დაღლილ, პატარა ბინაში. ისმის"გლუმი სანდეი".

ქალი- ექიმთან წავალ.

დარიო- ჩემთვის უნდა გეთქვა...

ქალი- შენი ფული არ მჭირდება.

დარიო- შენთან მაინც ვიქნები, სანამ ...

ქალი- ნუ ღელავ.

დარიო- საიდან უნდა მცოდნოდა, როცა ხმა არ ამოგიღია?

ქალი- კანონიერი შვილის მოლოდინის ჩაშხამება არ მინდოდა. ერთდროულად ორი შვილი ალბათ მეტისმეტია.

დარიო- ნუ იკბინები. ხომ არ დამესიზმრებოდა.

ქალი- თეატრში უნდა დავბრუნდე. უნდა ვითამაშო. შემოთავაზებას უნდა დავთანხმდე. უნდა გადავიდე აქედან. და დავმშვიდდები, შენც დამშვიდდები ბოლოსდაბოლოს. ეგვიპტელები გელიან, ცოლი გელის. მე ხელს გიშლიდი. შენ კი სამაგიეროდ ნიჭით დამაჯილდოვე. ჰო. საკუთარი თავის სიძულვილის ნიჭით. საერთოდ სიძულვილის. მადლობელი ვარ. არც კი ვიცოდი აქამდე, როგორი ძლიერი ყოფილა ეს გრძნობა.

დარიო- გაჩერდი, გთხოვ.

ქალი- გავჩერდები. აბა რას ვიზამ.

დარიო- მე ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ შემოთავაზებას დათანხმდები, როცა.. ჰო რა, როცა ეს ყველაფერი ...ჰმ, ჩაივლის. ორივესთვის კარგი იქნება, თუ რამდენიმე ხანი არ ვნახავთ ერთმანეთს.

ქალი- ახლა კი, მოდი ვიცეკვოთ. მართლა შესანიშნავი სიმღერაა. ჰო, ვინც ეს დაწერა, მართლა ავად იყო დარიო.. ძალიან ავად. არ ვიცი და არც მინდა ვიცოდე რა დაემართა ამ კომპოზიტორს მერე.
ჩემს თავს უნდა მოვერიო, ისეთს, როგორიც ახლა ვარ, უნდა დავძლიო ეს მდგომარეობა, ეს განწყობა. და შიში, რომ უშენობას ვერ ავიტან, რომ უშენოდ აღარაფერი იქნება.

დარიო- არ გინდა ეს ფატალიზმი. ჩვენ ყველაფერს შევძლებთ. აქ არა ვარ! შენ იპოვი შენს გზას, ითამაშებ და შეხვდები ადამიანებს, რომლებიც...

ქალი- ადამიანებს? ადამიანებს. ცხოვრებას გული აერევა და ჩემს ფერფლს გადმოაფურთხებს. მე კი აღარაფერი შემრჩება საკუთარი ურნის გარდა. ვის რაში ჭირდება ეს ტრაგიკული ნივთი? ჩემი ფერფლითა და მკვდარი ოცნებებით სავსე? რა დარჩება ჩვენგან, დარიო, როცა სამყარო მოგვინელებს ერთ მშვენიერ დღეს? იმედია, ძვალივით მაინც დაგრჩები ყელში გაჩხერილი. ასე მაინც.

დარიო- გპირდები, რომ ჩვენ ყელში გავეჩხირებით ამ დამპალ სამყაროს.
ქა- ჩვენ არა , დარიო, ჩვენ არა...

6. ექიმთან მიღებაზე. წვიმას მოწყურებული ცხელი დღე.
არიანე, რომელიც ორსულადაა და ახალგაზრდა ქალი.

არიანე- როგორ ცხელა, არა? ეს ვენტილატორებიც რომ არაფერს შველის... დილა მშვიდობის.

ქალი- მართლა ძალიან ცხელა, რა უცნაურია, მთელი ზაფხული გრილოდა და ახლა ... ძალიან მეტკინება?

არიანე- ბატონო? ო, იცით, ჯერ უნდა მოვილაპარაკოთ.

ქალი- (არიანეს მუცელზე მიუთითებს) ბიჭია თუ გოგო?

არიანე- ჯერ არ ვიცით.

ქალი- თქვენი ქმარი გახარებულია? უხარია, რომ...

არიანე- რათქმაუნდა უხარია, აბა რა.. მომისმინეთ, თქვენ ...

ქალი- მე მზად ვარ. გადაწყვეტილება უკვე მიღებული მაქვს.

არიანე- მაგრამ, მე... ოპერაციას ჩემს თავზე ვერ ავიღებ, ხომ გესმით, ამ გარემოებების გამო ჩემი

კოლეგა ...
ქალი- არა, ძალიან გთხოვთ, არა. მე მითხრეს, რომ მშვიდად შემიძლია გენდოთ, რომ ყველაფერი კარგად იქნება, რომ ჭკუას არავის არიგებთ და რომ თქვენთან... არ მეტკინება.

არიანე- კი მაგრამ...

ქალი- ძალიან გთხოვთ. ... გადადება აღარ შეიძლება...

არიანე- როგორ არ გესმით, მე ვერ შევძლებ, მომავალი კვირიდან შვებულებაში გავდივარ

ქალი- ძალიან გთხოვთ. სხვა გზა არა მაქვს. ის კაცი, მამაკაცი, ანუ მამა ამ... მას ოჯახი ყავს. და არ უნდა ეს ბავშვი. მე კი ჯერ ვსწავლობ, ჩემი მომავალი ამაზეა დამოკიდებული...

არიანე- ძალიან კარგად მესმის თქვენი და ჭკუის სწავლებას სულაც არ ვაპირებ. თქვენ თვითონ იცით, უნდა დაიტოვოთ თუ არა ბავშვი, და საერთოდ რა უნდა ქნათ. მე თანაგიგრძნობთ, მაგრამ ვერაფრით გიშველით. თუნდაც იმიტომ, რომ ხშირად შეუძლოდ ვარ და ოპერაციებს აღარ ვაკეთებ, მას მერე, რაც...

ქალი- მე თქვენ გენდობით. ცუდი არაფერი არ მოხდება. გემუდარებით!

არიანე- ჩემი კოლეგაც ძალიან კარგი ექიმია...
ქალი- ვერასოდეს ვიფიქრებდი ეს თუ დამემართებოდა, არ მეგონა, რომ იმათ რიცხვს მივეკუთვნები, ვინც პირველივე შემხვედრთან კისერს იტეხს და უბრალოდ ნებდება. მომავალ წელს სწავლას დავამთავრებ და თამაშს დავიწყებ, მე მსახიობი ვარ. ყოველთვის მინდოდა მსახიობობა. მხოლოდ ამაზე ვოცნებობდი. ყველა მეუბნებოდა, რომ ეს აბსურდია, რომ ამის მიღწევა თითქმის შეუძლებელია, რომ მე ამას ვერ მოვახერხებ, რომ საიმედო პროფესიას უნდა დავეუფლო, ჩემს მშობლებს მივბაძო და სოფლის მეურნეობას მივყო ხელი, მაგრამ მე უარი ვთქვი ამ ჯოჯოხეთზე. ცხოვრებაში იმდენი რამეა ბევრად უკეთესი, ვიდრე ბოსელის გაწმენდა ან კვერცხების შეგროვებაა. არ მინდა დახეთქილი ხელებითა და დაჭორფლილი სახით მივაშურო ღამით ლოგინს და ძილისწინ ვილოცო, რომ ღმერთმა ავდრისგან დაგვიფაროს მე და ჩემი ოხრახუში... მე მინდა თვითონ ავირჩიო ჩემი ბედნიერების გემო...

არიანე- კარგით . რაკი გინდათ, რომ მე მოგაშოროთ.. ასე იყოს, მაგრამ... ბავშვის მამამ თუ იცის? მაპატიეთ, რომ გეკითხებით ...

ქალი- იცის. არ უნდა ეს ბავშვი. მას ყავს ცოლი, რომელიც ... და რათქმაუნდა ეს ასეც უნდა იყოს.

არიანე- ძალიან ვწუხვარ

ქალი- ნუ წუხართ. თქვენ ხომ იცით, რომ თქვენს ქმარს უყვარხართ და უნდა ბავშვი.

არიანე- რატომ მე?

ქალი- რა?

არიანე- რატომ გინდათ, რომ მაინცდამაინც მე...

ქალი- იმიტომ რომ თქვენ ბედნიერი ხართ. ბავშვს რა უნდა დაარქვათ?

არიანე- ბიჭი თუ გაჩნდება, რესო... გოგოს სახელზე ჯერ ვკამათობთ.

ქალი- საინტერესო სახელია.

არიანე- უნგრული სახელია. ერთ უნგრელ კომპოზიტორს ერქვა. ჩემი ქმარი მისი თაყვანისმცემელია.

ქალი- ესე იგი, ხვალამდე?

7. არიანე და ახალგაზრდა ქალი. ისევ ის ოთახი.

არიანე- ხილი მოგიტანეთ. უნდა ჭამოთ. ფარდებიც უნდა გახსნათ, ძალიან ჩაგიბნელებიათ.

ქალი- რატომ აკეთებთ ამას? რატომ მოდიხართ? რატომ ზრუნავთ ჩემზე? რატომ მოგაქვთ ეს ტუტუცური ვაშლები? თქვენ თავს მიხედეთ. თავისუფალი დრო თქვენს ოჯახს დაუთმეთ, თქვენს ქმარს, თქვენს...

არიანე- ასეც ვიქცევი, ნუ წუხართ ამაზე . ჩვენ საკმარის დროს ვატარებთ ერთად. თუმცა ახლა ძალიან დაკავებულია.

ქალი- მაინც როგორია? თქვენი ქმარი?

არიანე- საინტერესო ადამიანია და ინტერესიანი. უყვარს თავისი საქმე, უყვარს სახლი, უყვარს მთაში მოგზაურობა, ადრე ამას ხშირად ვახერხებდით. უცხო ენები აინტერესებს. და ძველი სიმღერები უყვარს, გრამოფონიც კი გვაქვს სახლში. ბევრს ვსაუბრობთ, თუმცა იდეალური წყვილი არა ვართ. ჩვენც გვაქვს ჩვენი პრობლემები. თქვენ ალბათ მართალი ხართ, ალბათ მეტად უნდა დავაფასოთ, რომ ერთმანეთი გვყავს.

ქალი- რას ვერ იტანს?

არიანე- ო, რას ვერ იტანს? გეგმებს, ურთიერთობების გარკვევას. იმას, რაც საიდუმლოს აღარ შეიცავს. ბადრიჯანს. ელექტროგამათბობელს. შალის წინდებს, რომლებიც კაწრავს. მუქ ლუდს. ტყუილს.

ქალი- ტყუილს.

არიანე- დიახ. აი, ეს დალიეთ.

ქალი- თქვენ აქ არ უნდა იყოთ.

არიანე- ნუ ღელავთ. ამით არაფერი მიშავდება. მსიამოვნებს კიდეც აქ ყოფნა.

ქალი- მაინც არ უნდა იყოთ აქ...

არიანე- კარგი იქნება, რომ ჰაერზე გახვიდეთ , ცხოვრებას უნდა დაუბრუნდეთ, ისევ იცინოთ, ძალიან გიხდებათ სიცილი.
იცით, ცხრა წელია დაქორწინებულები ვართ და შვილი ძალიან გვინდა, პირველ რიგში მე მინდა, 20 წლის აღარა ვარ და ბიოლოგია კარგად ვიცი. მაგრამ არაფერი გამოგვდიოდა, არავითარი პრობლემური საფუძველი არ არსებობდა, ყოველ შემთხვევაში ფიზიკურად ორივე ჯანმრთელები ვართ და უნდა შეგვძლებოდა, მაგრამ ეს უბრალოდ არ მოხდა. რა არ ვცადეთ. ვიცი, უცნაურად ჟღერს, მითუმეტეს როცა ამას ექიმი ამბობს, და თანაც ქალების ექიმი, მაგრამ იმ დღეს, როცა პირველად გნახეთ, ჩემი კლინიკის მოსაცდელში, მგონი ვიღაცას ელოდით, განსაკუთრებული დღე იყო და ამიტომ კარგად მახსოვს. ქმარმა გამომიარა, სიურპრიზის გაკეთება უნდოდა, ამ დროს გამოვედი და მოსაცდელში თქვენ დაგინახეთ, ღმერთმა იცის რატომ დამამახსოვრდა თქვენი სახე, იმ ღამეს კი ... ჰო, სწორედ იმ ღამეს ჩაისახა ჩემი შვილი და როცა შევიტყე, რომ ორსულად ვარ, მაშინვე თქვენი სახე დამიდგა თვალწინ. არ ვიცი რატომ. სიგიჟეა, ვიცი. თქვენი იქ ყოფნა მხოლოდ დამთხვევა იყო და მაინც... მე ექიმი ვარ, მე ასეთი რამეების არ მჯერა, და მაინც... თქვენს სახეს ვეღარ ვივიწყებდი რატომღაც... როცა თვეების შემდეგ ჩემს კლინიკაში დაგინახეთ , ავღელდი, დავფრთხი, არ ვიცი , მინდოდა გული გადამეშალა თქვენთვის, ამეხსნა, როგორ გამიხარდა თქვენი ნახვა, მაგრამ მერე თქვენ დაიჟინეთ, რომ ოპერაცია მე გამეკეთებინა... მივხვდი, რომ ვერ შევძლებდი უარის თქმას. ასეთი რამ არასოდეს დამმართნია, მე ხომ ვიცოდი, რომ არ შეიძლებოდა ჩემთვის ამის გაკეთება... მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ გასაჭირში ვერ მიგატოვებდით, ვერ გაგაწბილებდით. მე კი ამის უფლება არ მქონდა ...

8. ტყეში.

ივი- დარიოს ძველი სახლი მახსოვს, ოღონდ არ ვიცი, რომელ ქალაქში, იმ სახლის სადარბაზო, შესასვლელში მარმარილოს იატაკზე წარწერა “სალვე”. და მოზაიკით მოპირკეთებული კიბე. მე ვიცი, რომ დარიოს ცოლი ყავდა, რომელსაც არიანე ერქვა. ვიცი, რომ არიანეს სავსე, საკოცნელი ტუჩები ჰქონდა... ვიცი, რომ იმ დღეს ცა იისფერი იყო, იისფერი და მწვანე, ჰო, მწვანე, ოღონდ არ ვიცი რომელი დღე იყო ეს. ისიც ვიცი, რომ დარიოს ოთახში ჰანტელები იდო. მაგრამ ყველაზე კარგად მაინც კიბიანი სახლი მახსოვს.

საათები მაქვს გატარებული იმ სადარბაზოში, იმ სადარბაზოს წინ, იმ სადარბაზოსთან, რომელიც თან მეპატიჟებოდა და თან შესვლას მიკრძალავდა. არ ვიცი, რატომ.
 ვიცი, რომ დიდი ხნის წინ, როცა ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, დედა თაფლიან რძეს მასმევდა, რომ ფითქინა კანი მქონოდა. ვიცი, რომ მამაჩემი ლუდის თავსახურებს აგროვებდა და მათგან პატარა ფიგურებს აკეთებდა. ვიცი, რომ ის მხარე, სადაც მე დავიბადე, სევდიანი და მდუმარე იყო. ვიცი, რომ დარიო დიდი სიამოვნებით ამზადებდა ხბოს ფილეს თეთრი ღვინის სოუსში. ვიცი, რომ კატები მყავდა და ჩემს საყვარელ კატას ტრიპოლისი ერქვა. ვიცი, რომ "გლუმი სანდეის" კომპოზიტორს რესო ერქვა. ვიცი, რომ ზურგის ტკივილები მაწუხებს, ვიცი, რომ ზოგჯერ ჩემს სახლში შიშველი ვცეკვავ ხოლმე და თან ბოთლიდან ღვინოს ვაფრქვევ. ვიცი, რომ ხშირად მძინავს მარტო, თეთრ ლოგინში, მხოლოდ თეთრში.
 ვიცი, რომ ვიღაცამ მითხრა, მონოლითი ხარ, მძიმე და შავიო, ოღონდ არ მახსოვს, ვინ. მახსოვს საქსოვი, ქსოვა ვიცი, ვფიქრობ, და ვიხსენებ ორნამენტებს, სახელოებსა და მხრებში რომ ვაქსოვდი, რომელიღაც ძველი დამწერლობის პატარა ასოებს, ოღონდ არ ვიცი, რომლის.
 მინდა ვიყვირო, მინდა, რომ ეს სიმღერა შეწყდეს, მინდა, საჭესთან მჯდომმა კაცმა გაიღვიძოს და წამიყვანოს აქედან, ამ ჯოჯოხეთიდან, მინდა რომ სისხლი მომბანონ სახიდან და ფეხში ძალა დამიბრუნდეს, მე მინდა, რომ იმ კაცმა მითხრას, ვინა ვარ. რატომ ვარ აქ, რა მინდოდა ამ სიბნელეში მის გვერდით. მე ვიცი, რომ მას ლურჯი თვალები აქვს, ისეთივე ლურჯი, როგორც ჰიპოპოტამის ცრემლები, ჩემი ბავშვობის წიგნში რომ ეხატა. მე მახსენდება ჩემი ბინა, იქ ყავის სუნი დგას, კიდევ მტვრის, წიგნების, ადამიანების, რომლებმაც მიმატოვეს, და რომლებიც მივატოვე, ღვინის, ძველი კაბების, მარციპანის, სიგარეტის, ჩემი ... მე მახსენდება დარიოს ფეხსაცმელი და ვიცი, რომ ვარდებს მჩუქნიდა ხოლმე. მიუხედავად იმისა, რომ მძულს ვარდები. მაგრამ მე არ ვიცი, ვინ არის დარიო, ვინა ვარ მე, - როცა აქ არა ვარ. რატომ არ ვიცი, შემრჩა თუ არა რამე გრძნობა, ღირს თუ არა ცხოვრების გაგრძელება, გადარჩენისთვის ბრძოლა?

9. სადღაც. სულერთია სად. ამას აღარა აქვს მნიშვნელობა. დარიო და ახალგაზრდა ქალი. დრო არავითარ როლს აღარ თამაშობს, წელიწადი დაილია....

დარიო- დამანებე თავი. საკმაო დრო გავიდა. ნუ დამდევ, ნუ მითვალთვალებ, ნუ მელოდები სახლთან, ნუ მაკითხავ სამსახურში, ნუ იმცირებ თავს.

ქალი- არ შემიძლია, არ შემიძლია...გთხოვ, დაბრუნდი. გთხოვ, ზოგჯერ მაინც მოდი, ხანდახან. მეტი არაფერი მინდა. მხოლოდ ერთი-ორი საათი, ეს ხომ არც ისე ბევრია, ეს ხომ არც ისე ძნელია.

დარიო- ხომ იცი, რომ ამით არაფერი შეიცვლება. შენ არ გაჩერდები. ცოტა ხანში ერთი- ორი საათი აღარ გეყოფა, დღეები მოგინდება და ღამეები. ეს სიყვარული არ არის, ეს მხოლოდ შენი შიშია.

ქალი- როგორ ახერხებ ამას? როგორ შეგიძლია მიყურო და არაფერი იგრძნო, არც კი გეცოდები?

დარიო- ვერ ხვდები, რომ ყველაფერი იცვლება? შენც აღარა ხარ იგივე, მაგრამ თავს იტყუებ. მე კი არასოდეს მომიტყუებიხარ. კარგად ვიყავით ერთად. მაგრამ ახლა სხვა სიტუაციაა, ახლა შვილი მყავს, მეტი პასუხისმგებლობა მაკისრია, თან ძალიან დაკავებული ვარ და როგორც კი კვლევისთვის დაფინანსებას გამოიყოფენ, ერთი წლით მომიწევს წასვლა..

ქალი- გყავს ვინმე?

დარიო- შეწყვიტე.

ქალი- შენ არასოდეს ყოფილხარ ავად, დარიო.

დარიო- ღმერთო ჩემო, რაღა დროს ეს არის, ეს ხომ მხოლოდ სიტყვები იყო. შენ ახალგაზრდა ხარ, ყველაფერი წინ გაქვს. რაში გჭირდება ეს ცირკი. არ მოგბეზრდა ისტერიული სცენების მოწყობა?

ქალი- ამისთვის გამაგიჟე, რომ მერე...
დარიო- მართლა გასგიჟებელი დრო იყო და მეც მინდოდა ყველაფერი ბოლომდე გამომეცადა, არაფერი გამომეტოვებნა, მაგრამ შენ ხომ ყველაფერი იცოდი ჩემს შესახებ, ჩემი ოჯახის შესახებ, ჩემი...
ქალი- როდისმე თუ გიფიქრია, მე რა მინდოდა?

დარიო- ადამიანებს ერთმანეთის დასნეულება შეუძლიათ მხოლოდ, განკურნება კი არა.ეს არის და ეს. განკურნება თავად უნდა მოახერხო. თუ მაინცდამაინც მეტაფორები გინდა.

ქალი- რა მეშველება, თუ არ დაბრუნდები? აღარასოდეს თუ არ დაბრუნდები, წამითაც კი?

დარიო- შენ იპოვი ძალას შენს თავში, დამივიწყებ და ყველაფერი ისევ კარგად იქნება.

ქალი- თუკი ვერ შევძლებ?

დარიო- შეძლებ.

ქალი- და მაინც თუ ვერა? იქნებ ცდები? იქნებ ეს მხოლოდ სიტყვები არ არის? რა ვქნა თუ ყოველ დილას გავიღვიძებ და ვიგრძნობ, რომ ხეიბარი ვარ, რომ შენ დამასახიჩრე? რა ვქნა, საკუთარი თავის რწმენას თუ ვეღარასოდეს დავიბრუნებ, და ვერც სამყაროს რწმენას? იქნებ ამ წუთას ჩვენ მომავალს ვპარავთ საკუთარ თავს? იქნებ სინამდვილეში სულაც არ გვინდა რომ განვიკურნოთ?

დარიო- ჩემო სიხარულო, ბავშვები ხომ არა ვართ, თავნება და მიამიტი... ასე არ ხდება, ნუ მოვიტყუებთ თავს, შეუძლებელია, რომ ყოველმა დღემ ახალი გრძნობით დაგვათროს, და დიონისური დღესასწაული მოგვიწყოს! არ არსებობს. ცოტა თავს ძალა დაატანე და ყველაფერი კარგად იქნება. წავედი, მეჩქარება...

ქალი- სიტყვას ერთი საშინელი თვისება აქვს, - დრო მოვა და აუცილებლად გამართლდება...

10. წარმოდგენის შემდეგ. თეატრის რომელიღაც გაბოლილ ოთახში. არიანე იცდის ყვავილებით ხელში. შემოდის ქალი, რომელიც უკვე არც ისეთი ახალგაზრდაა.

ქალი- აქ რას აკეთებთ?

არიანე- სპექტაკლზე ვიყავი. შთაბეჭდილების ქვეშ ვარ, სიტყვები არ მყოფნის.

ქალი- დიდი ხანი გავიდა...

არიანე- დიახ, თითქმის სამი წელი.

ქალი- შვილი ხომ კარგად გყავთ? გოგო გეყოლათ თუ ბიჭი?

არიანე- ბიჭი. ბიჭი, რომელიც უკვე ძალიან ბევრ შეკითხვებს სვამს, ყველაფერს ამტვრევს და სიამოვნებით არჭობს თითებს დენის წყაროებში.

ქალი - ძალიან კარგი. იმედია, თქვენი ქმარიც კარგად არის.

არიანე- დიახ, გმადლობთ. მაგრამ თქვენ... ისეთი არაჩვეულებრივი იყავით, ისეთი დამაჯერებელი. ისე იმოქმედა ჩემზე, წამით დამავიწყდა კიდეც, რომ თეატრში ვარ.

ქალი- მოხარული ვარ. დალევთ რამეს?

არიანე- დროს თუ არ წაგართმევთ, მე მხოლოდ ყვავილების მოსართმევად შემოვედი...

ქალი- გმადლობთ.

არიანე- დღეიდან მე თქვენი თაყვანისმცემელი ვარ. როგორ არ ვიცოდი, რომ ასეთი დიდებული მსახიობი ხართ... სპექტაკლის შესახებ გაზეთში წავიკითხე და თქვენი გვარი რომ აღმოვაჩინე ...

ქალი- წითელი ღვინო გნებავთ თუ თეთრი?

არიანე- წითელი. სიამოვნებით დავლევ წითელს. ძალიან პოპულარული ყოფილხართ. ისიც ეწერა, რომ მალე მთავარ როლს ითამაშებთ დიდ თეატრში.

ქალი- ჰო, უკვე ხუთ წუთზე ცოტა მეტი ხნით მანდობენ სცენას.

არიანე- კარგად გამოიყურებით. მართლა, მართლა. მიხარია, რომ ისევ...

ქალი- რისთვის მოხვედით?

არიანე- რას გულისხმობთ?

ქალი- კვირების განმავლობაში რომ მაკითხავდით და მირეკავდით, ბარათებს რომ მიგზავნიდით მას შემდეგ, რაც.... იცოდით და იმიტომ, არა? უკვე იცოდით...

არიანე- რაზე ლაპარაკობთ?

ქალი- გაგიმარჯოთ! კარგით რა. მე არაფერს გერჩით. შეგიძლიათ დამშვიდდეთ და აღარ მაკონტროლოთ. აღარც ღია ბარათების გამოგზავნაა საჭირო კეთილი სურვილებით და აღარც ყვავილების, აღარც მოსაკითხად დარეკვა. კომედია დასრულებულია.
 როცა პირველად მოვედი თქვენთან, სიძულვილი მწყუროდა, მინდოდა მენახა, როგორი ხართ, გამეგო, რატომ თქვენ და არა მე, მაგრამ მერე... მართალი გითხრათ, არ იყო ლამაზი თქვენი მხრიდან უსირცხვილო ტყუილები იმის თაობაზე, რომ მე ვიყავი შთაგონების წყარო თქვენს ქმართან ნაყოფიერი სექსისათვის... ვაღიარებ, ჩემი ვიზიტიც უგემოვნო იყო, მაგრამ მე ხომ მხოლოდ გაგება მინდოდა ... დამიჯერეთ, ნამდვილად არ გერჩით, და ვერც იმას ვიტყვი, რომ არ მომწონხართ, მითუმეტეს, რომ ამდენი ხანი გავიდა, ის თქვენთან არის , შვილიც გეყოლათ, ასეც უნდა იყოს. თანაც ყოველთვის მძულდა, ჭამის დროს თითებს რომ ილოკავდა და შხაპის მიღებისას ქანთრი - ბალადებს რომ მღეროდა. როცა რამეს მიყვებოდა, მისი თვითკმაყოფილება მძულდა, საუზმის დროს მისი გაზეთი მძულდა, რომელიც ჩემზე მეტად აინტერესებდა. მძულდა მისი კერძები - თეთრი ღვინის, თუ სოკოს, თუ ეშმაკმა იცის რის წვენში მომზადებული ლოკოკინა. მძულდა მისი ექსტრავაგანტული, რომელიღაც კატის ან მადაგასკარელი თუ ტიმბუქტუელი ანტილოპის ტყავის ფეხსაცმელი, მე მძულდა, მძულდა... რა დაგემართათ, ცუდად ხართ?

არიანე- მაპატიეთ. მე ... უნდა დავჯდე. გამივლის.

ქალი- ჰო, ძნელია. ნაზი არსება ნამდვილად არა ვარ, მაგრამ თითქმის ორი წელი დამჭირდა, რომ ტრანსიდან გამოვსულიყავი, ამ ამბავმა მთელი ჩემი ცხოვრება ყირაზე დააყენა, არ ვიცი, ვერ მოვირგე საბედისწერო ქალის როლი, სხვისი ოჯახის დასანგრევად მზად არ აღმოვჩნდი...

არიანე- შეიძლება წყალი...

ქალი- რა ხდება?

არიანე- არაფერი ვიცოდი ამის შესახებ.

ქალი- ერთხელ მაინც იყავით გულახდილი...

არიანე- გულახდილი ვარ. მე არაფერი ვიცოდი. ესე იგი, ბავშვიც...

ქალი- შეუძლებელია...

არიანე- შვილს გეფიცებით. არ ვიცოდი.

ქალი- აბა რისთვის დამდევდით კუდში, რისთვის მიგზავნიდით ბარათებს, რისთვის მოდიოდით, რისთვის მირეკავდით გამუდმებით? რა გინდოდათ.....

არიანე- მისი შვილი იყო...

ქალი- მართლა არ იცოდით... ღმერთო ჩემო. ეს რა ვქენი. რა საშინელებაა ...ღმერთო , როგორ მრცხვენია, ღმერთო...

არიანე- მისგან დაორსულდით?

ქალი- ძალიან გთხოვთ...

არიანე- ესე იგი მისი შვილი იყო. რამდენი ხანი იყავით ერთად?

ქალი-   მე მგონი, არ ღირს ... არ გვინდა...

არიანე- რამდენი ხანი?

ქალი- ერთი წელი. ზუსტად ერთი წელი.

არიანე- სად გაიცანით ერთმანეთი?

ქალი- წარმოუდგენელია.

არიანე- სად?

ქალი- თქვენს კლინიკაში. მერე ჩემს სპექტაკლზეც მოვიდა...რატომ იცინით? შეწყვიტეთ... რა გაცინებთ?

არიანე- მე რომ გამომიარა, იმ დღეს?

ქალი- ჰო. ვერ ვიჯერებ, როგორ ...

არიანე- ერთი წელი.

ქალი- ჰო, საშინელი წელი.

არიანე- არც ისეთი საშინელი უნდა ყოფილიყო. რატომ მიატოვე?

ქალი- მან მიმატოვა. ალბათ ბავშვის გამო, არ ვიცი. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ მისი აზრით მე ზედმეტად ჯანმრთელი ვიყავი.

არიანე- ჯანმრთელი?
ქალი- ჰო, სიცოცხლეს ხომ ცოტა სიგიჟე ჭირდება, ცოტა ავად ყოფნა. თუ ბედნიერება გინდა. ჰოდა მეც შემეყარა ეს ავადმყოფობა, ის კი განიკურნა. ჩვენი საკარანტინო ვადები ერთმანეთს არ დაემთხვა. ის ხომ .... ასე ლაპარაკობდა გრძნობებზე, ხომ კარგად იცნობთ...

არიანე- არა მგონია, რომ ვიცნობ.

ქალი- კარგით რა, ის მაინც უნდა გცოდნოდათ, რომ ოჯახის კაცი არ იყო. თუმცა რაღა მნიშვნელობა აქვს. შევეშვათ წარსულს.

არიანე- ბავშვის მოშორება მან ...

ქალი- ბოლოსდაბოლოს ეს გადაწყვეტილება ორივესთვის სასარგებლო აღმოჩნდა... ვინ იცის, რას მივიღებდით შედეგად...

არიანე- ამ შედეგზე არ გიფიქრია ?

ქალი- არ ვიცი. როცა არ ჩანს, იგნორირებება უფრო ადვილია.

არიანე- რატომ აგირჩია მაინცდამაინც შენ... მე ხომ ვირწმუნე, ჩემი აღმოჩენა მეგონე, ჩემი დაღი, მისტიური ნიშანი, ჩემი დრამა, მსხვერპლი, რომელიც გავიღე, ჩემი მოურჩენელი ჭრილობა, ჩემი ბედისწერა, მან კი ბანალობად გაქცია...დაუჯერებელია.... ყველაფერს ვკარგავ, მხოლოდ იმიტომ რომ მან ცოტა ავად გახდომა მოინდომა...

ქალი- არ მესმის, რას ამბობ...

არიანე- დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს ერთგვარი გარიგებაა, საფასური, რომელიც უნდა გადავიხადო, რომ ოცნება ამისრულდეს ... ეს კი უბრალოდ ხუმრობა აღმოჩნდა. შეცდომა, რომლის შედეგებსაც ახლა მეც ვიმკი... ყოველ ღამე, ლოგინში, მაგრად ვეხვევი ჩემ შვილს, ვუყურებ და ვფიქრობ, რომ ბედისწერამ

ისურვა ასე , ან ცხოვრებამ, ან თვით ღმერთმა, ჩემმა რწმენამ ბიბლიური მასშტაბები მიიღო , სინამდვილეში კი თურმე...

ქალი- ვერ ვხვდები, რას ამბობ...

არიანე- შეგიძლია სასამარღლოში მიჩივლო, თუმცა არა, არაფერი გამოგივა, შენ თვითონ მოითხოვე, რომ ოპერაცია მე გამეკეთებინა, ხელისმოწერით დაადასტურე რომ აცნობიერებ რისკებს და მიუხედავად ჩემი გაფრთხილებისა, მენდობი და ... შენ ვერაფერს მიაღწევ, მაგრამ მე ფეხს აღარ შევადგამ კლინიკაში, და საექიმო პრაქტიკაზეც უარს ვიტყვი. არ ვიცი, რამდენად განუგეშებს ეს. ხვალ დილითვე ჩავაბარებ ლიცენზიას. ამ შედეგს ხომ თვალნათლივ დაინახავ . თუმცა ამით აღარაფერი შეიცვლება...

ქალი- გამაგებინე რაზე ლაპარაკობ...

არიანე- მთელი ამ ხნის მანძილზე მინდოდა მეთქვა თქმა, იმავე დღეს, სახლში რომ მიმყავდი, მაგრამ ვერ შევძელი. ვერ შევძელი... ისეთი ეული იყავი, ისეთი სევდიანი, ისეთი დათრგუნული, მივხვდი, რომ ვერ გეტყოდი... მეგონა, ეს მსხვერპლი უნდა გამეღო, რომ რესო მყოლოდა...

ქალი- რესო?
არიანე- შესაფერის დროს ვეძებდი სათქმელად, ამიტომ არ გეშვებოდი, ზოგჯერ შუაღამით გირეკავდი, მაგრამ ყურმილს ვკიდებდი და ვფიქრობდი, რომ ლიცენზია უნდა ჩავაბარო, რომ ამას ხვალ გავაკეთებ, ან ზეგ... რესოს გამო ამაზეც თანახმა ვიყავი. ეს სამართლიანად მიმაჩნდა... რატომ, ღვთის გულისათვის, რატომ? რაში დაგჭირდი, რატომ არ დამიჯერე , რატომ არ წახვედი სხვა ექიმთან...

ქალი- ეს ხომ მხოლოდ სიტყვები იყო...

არიანე- სიტყვები? მხოლოდ სიტყვები?

ქალი- შანსი აღარ მაქვს?

არიანე- სხვა გზა არ იყო. სისხლისგან დაიცლებოდი.

11. ტყეში

ივი- წვიმას იწყებს. გასისხლიანებულ ცხვირს წვიმას ვუშვერ, ტუჩებსაც, - მწყურია, წყალი, რომელიც ზეცამ ჩემთვის გაიმეტა, სიცოცხლეს მიბრუნებს. ცა რუხია, დახუთული, დაბოღმილი და უჟმური. სიმღერა უსასრულო შლეიფია. მძულს ეს სტრიქონები, მძულს ჩემი წინათგრძნობა, ვიცი, რაც მოხდება მერე,

ვიცი, რომ ქალი, რომელიც მღერის, მოკვდება, მე კი არ მინდა სიკვდილი.. არ მინდა გავხდე სიყვარულის და სიკვდილის მოტივი, რომელიც მხოლოდ კინოშია ლამაზი და ამაღელვებელი. არ მინდა გავხდე შეუძლებლობის თემა. მე შესაძლებლობა მინდა. ჩემი შესაძლებლობა. შესაძლებლობა ვიყო "მე", სიცოცხლის შესაძლებლობა. ბედნიერება მინდა - ავადმყოფობის გარეშე, სიყვარული მინდა - ტრაგიკული ფინალის გარეშე. ჩემი სახე მინდა ამოვიცნო. გოგონას, რომელსაც ვხედავ, ყავისფერი თმა ჰქონია, ადრე კი წითელი ქონდა, თუ პირიქით? სულერთია, მაინც სხვანაირად გამოიყურება, ვეღარ ვცნობ. გული მიგრძნობს თუ ჩემი წარმოსახვაა? იქნებ მხოლოდ საკუთარი თავის პოვნა მინდა იმათში, ვინც თვალწინ მიდგას?
იმ ბიჭმა, - ჰო, გავიფიქრე უცებ, ბიჭია, ძალიან ახალგაზრდაა, - იმ ბიჭმა, თავი საჭეზე რომ დაუდია, მიწაზე განრთხმული მიმატოვა. რა დარტყმამ მომისროლა ასე? როგორ მოვხვდი აქ, ამ თხრილში, რატომ ვერ ვითავისუფლებ ფეხს? არასოდეს ვაპატიებ, რომ დამეკარგა იმ დამანგრეველი შეჯახებისას, სამყაროს დასაბამს რომ მისცა ბიძგი, არ ვაპატიებ, შორს როა ჩემგან, არ ვაპატიებ, მარტო რომ დამტოვა ძალაგამოცლილი, სახედაკარგული და დამსხვრეული...

2.ნაწილი

1. 17 წლის შემდეგ. ან ასი წლის შემდეგ. საგრიმიოროს კარზე ვიღაც აკაკუნებს, რომ ახალ სამყაროში შეაბიჯოს...
ქალი და რესო.

რესო- შეიძლება?

ქალი- დრო არა მაქვს.

რესო- უბრალოდ მოსალმება მინდოდა . ახალი ასისტენტი ვარ და.....

ქალი- სალამი....

რესო- საღამო მშვიდობის, მე რესო მქვია. ს-ით.

ქალი- როგორ?

რესო- რესო. ს-ით...

ქალი- სალამი.

რესო- მე საღამოობით ვმუშაობ და მინდოდა მეთქვა, რომ ...

ქალი- ძალიან კარგი.

რესო- მიხარია აქ რომ ვარ და საშუალება მაქვს ყოველ საღამოს გიყუროთ, როგორ მიგყავთ ადამიანები ცრემლებამდე თქვენი თამაშით და...

ქალი- რამე გინდა კიდევ?

რესო- პატივს დამდებთ თუ მიმსახურებთ და ნებას დამრთავთ, რომ წარმოდგენების შემდეგ სახლში მანქანით წაგიყვანოთ. იცით, მომავალ წელს მეც ვაპირებ სამსახიობოზე ჩაბარებას, ამიტომ ისეთი ბედნიერი ვარ, რომ ერთი წელი აქ ვიქნები და თქვენგან იმდენ რამეს ვისწავლი...

ქალი- ეჭვი მეპარება, გენაცვალე. არ ღირს ამაზე ლაპარაკი..

რესო- გავიგე, ესპრესო გყვარებიათ, მე კი არაჩვეულებრივად ვაკეთებ ესპრესოს. დედაჩემი გიჟდება ესპრესოზე და ამიტომ მე ესპრესოს სპეციალისტი ვარ, ოღონდ მითხარით, მაგარი მოგწონთ თუ ...

ქალი- პერსონალური ასისტენტი გამოუყვია თეატრს ჩემთვის, და არ ვიცოდი... ჩემთვის სულერთია, ჩვეულებრივ ესპრესოს ვსვამ. კიდევ ?

რესო- მე მართლა ვგიჟდები თქვენზე...

ქალი- ჰო, მივხვდი. ახლა კი დროა გამოვიცვალო.

რესო- ო, დიახ, რათქმაუნდა, ვწუხვარ, რომ დაგაყოვნეთ.

ქალი- შეგიძლია შენობით მომმართო და ნორმალურად ილაპარაკო, სამეფო კარზე ხომ არ გგონია თავი..

რესო- არა, მე მართლა...

ქალი- გავიგე, გავიგე...

რესო- დიახ.

ქალი- ჰოდა,მაშინ...

რესო- დიახ, მაშინ...

ქალი- ნახვამდის.

რესო- შესანიშნავი წარმოდგენაა.

ქალი- იმედია კარგად წავა.

რესო- წარმატებას გისურვებთ.

ქალი- პრემიერა კი არ არის.

რესო- მართლია, უკაცრავად... თუმცა მაინც...

ქალი- კარგი. რომ გახვალ, კარი მოხურე რა..

რესო- კინაღამ დამავიწყდა, შევამჩნიე, რომ იჭედება, თუ გნებავთ , შევაკეთებ.

ქალი- კარგი, ოღონდ სხვა დროს.

რესო- დიახ, რა თქმა უნდა.
ქალი- კარგი.

რესო- მომავალ შეხვედეამდე.

ქალი- ჰო.

რესო- ნახვამდის....

ქალი- ჰოოოოო.

2. წარმოდგენის შემდეგ. აცივდა. ქალი საგრიმიორო მაგიდასთან ზის და ღვინოს სვამს ბოთლიდან. კარზე ისევ კაკუნია.
ქალი და რესო.

ქალი- ვინ არის, მომასვენეთ რა !

რესო- ბოდიში, მინდოდა მეცნობებინა, რომ ხვალ დილას რეპეტიცია აღარ იქნება.

ქალი- სულ არ მაინტერესებს.

რესო- რამე ხომ არ გინდათ? დღეს დიდებული იყავი. როგორ წამოგიდგნენ ფეხზე, რა ამბავი ატეხეს! ამ საღამოს ისეთი...

ქალი- ერთი ბოთლი წითელი ღვინო მომიტანე და გზად კარისკაცს გადაეცი, რომ აღარ დამანახოს ყვავილები, განსაკუთრებით ეს აუტანელი ვარდები, და განსაკუთრებით იმ სათვალიანი ტიპის მორთმეული, ტუტუცური ვარცხნილობა რომ აქვს. უთხრას, რომ აქ აღარ ვმუშაობ, გადავსახლდი. კაზახსტანში, ან მარსზე. უთხრას, რომ ის დედააფეთქებული ვარდები თავისთვის დაიტოვოს, ან თავის დედააფეთქებულ ცოლს ან დედააფეთქებულ ქალიშვილს აჩუქოს. ისიც უთხრას, რომ ლემინგს მაგონებს, როცა ცდილობს სექსუალური იყოს. და რომ ყელში მყავს ამოსული უიღბლო გამოსირებულები, რომლებიც თაყვანს ცემენ ჩემს ბრწყინვალე ხელოვნებას სცენაზე და ფეხებს მიკოცნიან , მაგრამ მაინც ცოლებთან მიიჩქარიან, რადგან ისინი გარგლის მურაბას ხარშავენ უკეთ. აღარ გაბედოს აქ გამოჩენა თავისი უზარმაზარი გოიმური მანქანით, რომლითაც მამაკაცობის ჩანაცვლებას ცდილობს, და სულელურ მდგომარეობაში ნუ იგდებს თავს. და შოკოლადიც მჭირდება.

რესო- კი ბატონო. თუ გინდა, გავიტაცებ კიდეც, სკამზე მივაბამ , პირში სტაფილოს ჩავჩრი, შარვალს ჩავხდი, პენისზე ბარათს მივაწებებ წარწერით: “მიმეძინა”, პოლაროიდით ფოტოს გადავუღებ და მის ცოლს გავუგზავნი.

ქალი- სტაფილო...ღმერთო ჩემო...

რესო- მართლა ვიზამ, თუ გინდა.

ქალი- სტაფილო...გაგიჟება შეიძლება

რესო- დამშვიდდი. შენ ოღონდ მითხარი და ...

ქალი- სტაფილო..

რესო- არ მესმის, რა საერთო გქონდა იმ გულისამრევ ტიფთან, არ ეტყობოდა, რაც არის...

ქალი- შენ რა, მართლა მოგწონვარ?

რესო- რას წარმოვიდგენდი, რომ.. შენ ერთადერთი ქალი ხარ, ვინც სწორად გამოთქვამს ჩემს სახელს.

ქალი- გასაგებია.

რესო- თან საოცრად ლამაზი ხარ.

ქალი- ოჰო.

რესო- არ გეგონოს, რომ სხვებივით ვმლიქვნელობ... შენ მართლა განსაკუთრებული ხარ.

ქალი- ღვინო გინდა? ოღონდ ჭიქები არა მაქვს. სტაფილოიან კაცს შეეწირა ყველა, უფრო სწორად კედლებს.

რესო- სიამოვნებით დავლევ. ჭიქებს მაინც ვერ ვიტან.

ქალი- რათქმაუნდა ვერ იტან ჭიქებს, მსახიობობა კი იმიტომ გინდა, რაც 13 წლის ასაკში მშობლიური ენის მასწავლებელმა თეტრში ძალით წაგიყვანა და მე მნახე სცენაზე, არა?

რესო- ჰო, მინდა მსახიობობა, ბავშვობიდან მინდა, ოღონდ უნდა გაგაწბილო, შენ არაფერ შუაში ხარ. მშობლებს ხშირად დავყავდი თეატრში. თუმცა ძალიან განსხვავებულ რამეებზე. - გაყრილები არიან და გადაწყვიტეს რომ გემოვნებაც უკიდურესად განსხვავებული უნდა ქონდეთ. ყველაფერში. ერთი თეთრი ღვინის მოყვარულია, მეორე წითელ ღვინოს ამჯობინებს; ერთს ბალეტი მოწონს, მეორეს ოპერა ურჩევნია. ერთს იტალიური კერძები უყვარს, მეორეს აზიური. შენ კი დამოუკიდებლად აღმოგაჩინე.

ქალი- მაშინ, გაგიმარჯოს. ვნახოთ, იქნებ დაგეხმარო კიდეც მომზადებაში. ყველა შენზე ლაპარაკობს. ამბობენ რომ მხიარული ტიპი ხარ.

რესო- ასე ამბობენ?

ქალი- ჰო, ასე ამბობენ.

რესო- შენზე კი ამბობენ, რომ ცუდი ხასიათი გაქვს, პრიმადონასავით იქცევი, ძალიან პრეტენზიული ხარ და მეტისმეტს ითხოვ კოლეგებისგან, - ყველა ხომ არ არის მოწოდებით მსახიობი, ზოგს სხვა ინტერესებიც აქვს ცხოვრებაში. და ეს იმიტომ, რომ მარტოხელა ხარ, შენი პირადი ცხოვრება კი, ნამდვილი კატასტროფაა.- ასე ამბობენ.

ქალი- ესე იგი ასე ამბობენ..

რესო- ჰო, ასე ამბობენ.

ქალი- ჩემო კარგო, რასაც ამბობენ, ყველაფერი კი არ არის მართალი, იმედია, იცი.

რესო- ვიცი, აბა რა. უკეთ ხარ?

ქალი- რა ვიცი. მოდი ჯერ დავლიოთ. იმ ვიღაც-ვიღაცეების სადღეგრძელო, ასე რომ ამბობენ. და იმედი ვიქონიოთ, რომ ჩვენ არასოდეს გავხდებით ასეთი ვიღაც-ვიღაცეები, რას იტყვი?

3. სიბნელე და სიცივე. ჯერ კიდევ. ჯერ კიდევ სიმარტოვე ....

ივი- არჩევანი რომ მქონოდა, რომელს ავირჩევდი? რომელი"მე" გაამართლებდა ჩემს იმედებს? რომელ სხეულში, რომელ სულში, რომელ გულში ვიპოვიდი თავშესაფარს? რატომ ვარ დარწმუნებული, რომ ბედნიერებას სხვებისგან დამოუკიდებლად მივაღწევ, და არა მათთან კავშირში? რატომ არ ამისრულა ცხოვრებამ, რასაც მეჩურჩულებოდა , როცა ქვეყანას მოვევლინე. ხომ მპირდებოდა, რომ მეყვარებოდა და ვეყვარებოდი, რომ მჩქეფარე სიცოცხლით ამავსებდა, რომ ნიჭით დამღლიდა, რომ ტაშს დამიკრავდა და ხელში აყვანილს მატარებდა, რომ ეული ღამეების მწარე მტვერს არ მომაკარებდა, რომ მივიღებდი, რასაც ვიმსახურებდი - უსაზღვრო, უსასრულო ბედნიერებას, ხომ მპირდებოდა, რომ მე - "მე" ვიქნებოდი, მხოლოდ "მე", განსაცვიფრებლად და გასაგიჟებლად "მე", თბილი და მყუდრო გულით, სადაც სხვებსაც შევთავაზებდი თავშესაფარს... ჩვრადქცეულ სულს და დამსხვრეულ გულს ხომ არავინ შემპირებია? ასე ხომ არ უნდა ყოფილიყო? ეს ხომ არ არის მართალი? რატომ მეჩვენება შესაძლებლობად ის, რაც შეუძლებელია? რატომ დავკარგე სახე? მხოლოდ იმიტომ რომ სიცოცხლე ჭიპლარის მოჭრისას უშნოდ გამეხუმრა?
როგორ შეიძლებოდა, რომ ყველა ეს სახე ჩემში მეტარებინა? როგორ შეიძლებოდა მხოლოდ სხვათა და სხვათა მეშვეობით მეარსება ამდენი ხანი?
მე ჩემი "მე" მინდა დავიბრუნო, ჩემი, ჩემი, - ის, რაც ვიყავი, სანამ აქ მოვიდოდი, სანამ შემაფასებდნენ და შემადარებდნენ, სანამ დამაკავშირებდნენ სიყვარულთან, ტრაგედიასთან, გრძნობებთან, რომლებიც იქნებ სულაც არ იყო და არც არის ჩემი. მე ჩემი გული მინდა დავიბრუნო, შეულახავი და განუმეორებელი. სიცოცხლე უნდა ბრწყინავდეს, ფოიერვერკივით იფრქვეოდეს, კვალს ტოვებდეს, ნაკაწრებს, იარებსაც, მაგრამ მაინც ცეცხლივით უნდა ენთოს ცეცხლივით, უნდა ფეთქავდეს და ანათებდეს თვალისმომჭრელად, საკუთარ თავს ზეიმობდეს. ხომ არ შეიძლება მადლიერი იყო იმისთვის, რომ სუნთქავ?
მე ვიცი, ვინ იყო დარიო. მაგრამ არ ვიცი ჩემი რომელი ნამსხვრევი შეეხმიანა მას, რომელი დაჰყვა და რომელმა გაუძლო , რომელი გადარჩება ახლა, ამ წამს და რომელი მოკვდება?

4. რესო და ქალი პარკში, თოვლში წვანან, ცაში ფოიერვერკები, ახალი წელია. სამყარო ახალ კაბას ირგებს. ისინი კი ბუშტებზე ფოტოებს აკრავენ.

რესო- დროზე მიაწებე ფოტო, თორემ გავიყინებით. ბუშტები ზუსტად შუაღამეს უნდა ავაფრინოთ ცაში.

ქალი- კარგი, ახლავე დავაწებებ ...

რესო- მიდი, მეც ვაწებებ უკვე... .

ქალი- ეშმაკობა და შეხედვა არ იყოს.

რესო- არც ვაპირებ.

ქალი- მოვრჩი.

რესო- მეც.

ქალი- 10, 9, 8, 7, 6, 5, 4..

რესო- 3,2,1. ჩემი უფრო სწრაფად გაფრინდა! უყურე, უყურე ახლა ორივე ნაკუწებად იქცევა!

ქალი- პირველად ვხვდები ასე ახალ წელს... რა სიგიჟეა, ეს შენი იდეა, ბუშტებზე იმ ადამიანების ფოტოების მიწებება, ვისი ამოშლაც გინდა ცხოვრებიდან და მეხსიერებიდან ...

რესო- და ახლების მოპატიჟებაც.

ქალი- ვისი ფოტო იყო შენს ბუშტზე? მითხარი, ახლა ხომ უკვე სულერთია...

რესო- და შენს ბუშტზე ვინ იყო?

ქალი- ის უკვე წარსულს ჩაბარდა, აღარც კი ღირს გახსენება.

რესო- აბა ფოტო რატომ მიაკარი ბუშტზე?.

ქალი- მან ცხოვრება ამიწეწა, არადა, სრულიად ჩვეულებრივი, უღირსი, ცოლიანი მამაკაცი იყო. მეტი არაფერი. დღემდე ვერ გამიგია, ასე რატომ გადავირიე.

რესო- შენ.

ქალი- რა?

რესო- შენი სურათი იყო ჩემს ბუშტზე. მე ჩავუთქვი, რომ შემიყვარო...

ქალი- რესო, რას ბოდავ? იცი, რამდენი წლის ვარ?

რესო- მერე რა? შენ ყველაზე გასაგიჟებელი ქალი ხარ, რომელიც ოდესმე შემხვედრია, ყველაზე სევდიანი, იმედგაცრუებული და ყველაზე უცნაური. მხოლოდ შენ აცალკევებ წითელი ფერის საჭმელს სხვა ფერებისგან, ძველ ფირფიტებს აგროვებ, სცენაზე ისეთი ხარ, შიშით თეატრში ვეღარ წავსულვარ , შენ თუ არ მონაწილეობ ხომ ყველაფერი ჩამშხამდება. მხოლოდ შენ აყოლებ ღვინოს პუდინგს. სიგარეტით ამომწვარ ძველისძველ აბაზანის ხალათს ისე იხდენ, თითქოს საქორწილო კაბა იყოს , მარცხენა წვივზე კი ეული ხალი გაქვს, და ისე დამაჯერებლად ეჩხუბები კოლეგებს, რომ მტყუანიც რომ იყო, მაინც შენს მხარეზე ვარ, ხოლოდ შენ იცინი, როცა სხვები ტირიან, და მხოლოდ შენ ტირი, როცა სხვები იცინიან. კაცებთან წვები, მაგრამ მეორე დღესვე მაიძულებ შევატყობინო, რომ მარსზე გაემგზავრე და იქ აპირებ დარჩენას, მაგრამ...

ქალი- გეყოფა...

რესო- მეც მინდა იმ შენს მარსზე შენთან ერთად და მინდა...

ქალი- შეწყვიტე.
რესო- რატომ უნდა შევწყვიტო? ჯერ არ დამიმთავრებია. და არ დამიწყო ახლა ჭკუის დარიგება, ძალიან გთხოვ, ვიცი, რომ დედაჩემის ხნის ხარ, რომ არ გჯერა რომანტიკული სისულელეების და რომ მე ჭკვიანად უნდა ვიყო.

ქალი- გითხარი, შეწყვიტე მეთქი! ამის გაგონებაც აღარ მინდა. შენ გაქვს ამის უფლება, შენ ახალგაზრდა ხარ, შენ ხარ შენ... მე კი აღარ მინდა მოსმენა, როგორი განსაცვიფრებელი და გასაგიჟებელი ვარ , იმისთვის, რომ ბოლოს , კეთილი ვინებო და რაც შეიძლება შორიდან ვიყო დაუვიწყარი. აღარ გამაგონო ეს სენტიმენტალური ბოდვა. გავიარე უკვე. არ მჯერა რევოლუციების და გულის ამოვარდნის, მე ჩემი ვალი მოვიხადე, გავაჩუქე საკუთარი თავი, ჭრიალა ქაღალდში შეფუთული, დაფასოებული და ბითუმად, შიშველი, ჩაცმულ-დახურული, ძლიერი, უსუსური, წითელი, მწვანე, შავი, ვარდისფერი; მე ვრეკავდი და საათობით ველოდი დარეკვას, ვიბრძოდი და ვნებდებოდი. უარიც მითქვამს და კისერზეც ჩამოვკიდებივარ. საკმარისია, რაც ცრემლები მიღვრია, და უიღბლო სიყვარულის ტრაგიკული პათოსის სამსხვერპლოზე ხოტბის შესხმითა და თაყვანისცემით რიტუალები ჩამიტარებია, სულიერი მხნეობისა და სიმშვიდის მოსაპოვებლად არქაული ცეკვები მიცეკვია. სიყვარულის ღმერთებს ნაკუწ-ნაკუწ ვეწირებოდი ვეწირებოდი, ახალ ღმერთებსა და ძველებს, უცხოებს, შლეგებს, ლამაზებს და მაინც მკვდრებს, რადგან ისინი მკვდრები არიან, ჩემო საყვარელო. შენმა სანატრელმა სიყვარულმა ვერც მათ მოუტანა ბედნიერება. გგონია, შენთვის და ჩემთვის შეიწუხებენ თავს?
მე აღარავის მივცემ უფლებას პატარა კოვზით მიმირთვას - იოლად გადასაყლაპი და იოლად მოსანელებელი. მე მინდა ყელში გავეჩხირო, გულზე დავადგე და დავახრჩო. ეს არის ახლა ჩემთვის სიყვარული, ჩემო საყვარელო! შენს სისულელეებს ვერ ავყვები, არ დავუშვებ, რომ შენმა ოცნებებმა და ამ გაუმაძღარმა სამყარომ უდროოდ მოგინელონ, მეტისმეტად მიყვარხარ იმისთვის, რომ გაგწირო! რას იცინი? გაჩერდი, რესო... გესმის?
რე- უნდა ავდგეთ, თორემ მოვკვდებით სიცივისგან. ხვალ კი ბავშვები გვიპოვნიან გაყინულებს და ისეთ ფსიქოლოგიურ ტრავმას მიიღებენ, რომ ცხოვრებაში აღარ ითამაშებენ თოვლიან ბაღში "ისურვე რამე"-ს, რაც ძალიან დასანანი იქნება. ჩვენ ხომ ამას არ დავუშვებთ?

ქალი- რა დარტყმული ხარ!

5. ქალი და რესო ლოგინში. ქალი დგება და ჩაცმას იწყებს. რესო იღვიძებს. იღიმის. შეიძლება არც იღიმის. რა ვიცი, რას შეიძლება აკეთებდეს მამაკაცი სექსის მერე, მოწევისა და უდრტვინველად ძილის გარდა.

რესო- პაწაწინა ყურის ბიბილოები გაქვს, ზღარბის ეკლებივით წვეტიანი და შემართული.

ქალი- გაგიჟება შეიძლება.

რესო- რა გაბრაზებს? ის, რომ მე და შენ სექსი გვქონდა, თუ ის, რომ ეს სექსი მოგეწონა?

ქალი- არაფერი შეგეშალოს! შენ ჩემი სიმთვრალით ისარგებლე, მე კი ახლა სირცხვილით ვიწვი, რომ მეძინა კაცთან, რომელსაც ბურთებით მოხატული ლოგინის თეთრეული აქვს. ამასაც მოვესწარი!

რესო- რას ერჩი ჩემს თეთრეულს? თანაც, მე არაფრით მისარგებლია.

ქალი- როგორ არა, თავბრუ მეხვეოდა, ფეხზე ძლივს ვიდექი და ალბათ ენაც მებმოდა.

რესო- მე შენ მიყვარხარ.

ქალი- ამ ქოხში თმის საშრობი მოიპოვება? დენდარტყმულს ვგავარ.

რესო- კი, სააბაზანოს კარადაშია, ზემოთ მარცხნივ.

ქლია- როგორ მოხდა რომ შენნაირ თავდაჯერებულ მაჩოს ფენი გააჩნია? მეგონა, საპნის დანახვაზე გაზრიალებდა.

რესო- საოცრად ლამაზი ხარ.

ქალი- დამიჯერე არ ღირს. მე ახლა შხაპს მივიღებ, საცხს წავისვამ და გავქრები აქედან. ჩემს ჩვეულ ცხოვრებას დავუბრუნდები. დროდადრო შემთხვევით შევხვდებით ხოლმე თეატრში და ზრდილობიანად მივესალმებით ერთმანეთს. რაც იყო, იყო. ეს აღარასოდეს განმეორდება. შენ ინანებ, რომ ჩემი ჩამოკიდებული ძუძუებისა და ტრაკის ნახვა მოინდომე, თვალს ამარიდებ ხოლმე მხოლოდ იმიტომ, რომ შენი უხმარი სხეული მანახე, რომელმაც გამახსენა ის, რისი გახსენებაც არ მინდოდა. ჩემზე შურის საძიებლად ახალგაზრდა მსახიობების შებმას დაიწყებ. ჩემს დანახვაზე გადაჯდები ხოლმე და შორიდან

გამიღიმებ, მაგრამ შენი ღიმილი წრფელი არ იქნება, მე კი დამნაშავედ ვიგრძნობ თავს, რომ ფლიდი გაგხადე. ორივეს გვეცოდინება, რომ ასე არ შეიძლება, მაგრამ ვეღარ გავჩერდებით და უფრო და უფრო შორს შევტოპავთ. მეხსიერებიდან ამოვშლით ერთმანეთს და ერთადერთი, რაც სამუდამოდ შეგვრჩება, იქნება იმედგაცრუების სევდა, თუმცა არა, სევდამდე ეს გრძნობა ვერც გაქაჩავს, უფრო ალბათ მელანქოლია იქნება.

რესო- რა დავაშავე, რატომ მეუბნები ასეთ რამეებს?

ქალი- იმიტომ , რომ არ მინდა ჩემთან დამარცხდე, იმიტომ რომ მიყვარხარ და აქამდე არ უნდა მიმეყვანა.

რესო- არ შეგიძლია უბრალოდ გაჩუმდე? უბრალოდ იყო? ჩემთან, აქ, ახლა?

ქალი- ეს “ახლა” ახლავე გაივლის და დაიწყება ის, რაც ვთქვი.

რესო- რა იცი, იქნებ მე გამონაკლისი ვარ, იქნებ მე ვარ ის, ვინც დარჩება, მე ვარ ის, ვისაც არ სურს, რომ განიკურნოს?

ქალი- რა თქვი? უნდა წავიდე.

6. როგორი სიბნელეა და სიცივე, წვიმა მოვა, ოღონდ სულის მოსათქმელად კი არა, - გასატანჯად და გასამათრახებლად...

ივი- არ გსაყვედურობ, რომ ასეთად მაქციე, უმნიშვნელო ლაქად, წლების მანძილზე რომ რჩება კედელზე და გაღიზიანებს, მაგრამ დიდ ზიანს არ გაყენებს... მისგან წყალიც კი არ მოჟონავს, არა, უბრალოდ ერთი პატარა, მუქი ლაქა.
შენ ცდებოდი, დარიო. ეს არ იყო მხოლოდ სიტყვები, არასოდეს არ იყო მხოლოდ სიტყვები.

7. ძველი ბინა. მიმზიდველი და მაინც ეული, გვიანი ღამით მალვით მოწეული სიგარეტებისა და დარიჩინის სურნელით გაჟღენთილი.

ქალი- მაპატიე, რომ შეგაწუხე, მაგრამ უნდა მენახე. ესე იგი შენ იცოდი?

არიანე- სულ არ შეცვლილხარ. ადრე თვალს ვადევნებდი შენს კარიერას, შიგადაშიგ რაღაცას ვნახულობდი. როდესაც რესომ შენი პლაკატი გააკრა, გადავწყვიტე, რომ ამის წინააღმდეგ ბრძოლას აზრი არა აქვს. თუ ის ბედნიერია, მეც ბედნიერი ვარ.

ქალი- არ კი ვიცი, რა გითხრა.

არიანე- ასე რამ შეგაწუხა?

ქალი- არც მისთვის ვარგა და არც ჩემთვის...
არიანე- შენ ხომ იცოდი, ვისი შვილიც არის...

ქალი- როგორ არის?

არიანე- არ ვიცი. ჩვენ თითქმის არ ვხვდებით ერთმანეთს. ადრე რესოს დაბადების დღეებზე მოდიოდა ხოლმე . ახლა პენსიაზეა და ვერ ეგუება. მარტო ცხოვრობს, ქალაქგარეთ. მისი პირადი ცხოვრების შესახებ არაფერი ვიცი.

ქალი- შენ?

არიანე- რა მე? ჩემო კარგო, ეს ყველაფერი სამ ცხოვრებაზე მეყოფოდა, თუ დამიჯერებ. მაგრამ როგორც ხედავ, გადავიტანე.

ქალი- მჯერა. ოღონდ ვფიქრობ, მეოთხე ცხოვრებას აღარ უნდა შეეხოს. არ მინდა რესოს რამე დავუშავო. შენი უნდა დამეხმარო. დაარწმუნე, რომ ჯობია სხვა თეატრში გადავიდეს.

არიანე- წლების მანძილზე ექთნად ვმუშაობდი საავადმყოფოში, როცა ღამის ცვლაში მიწევდა წასვლა, ლოგინში ვაწვენდი და ვეუბნებოდი: სანამ მე არ ვიქნები, შენს ოცნებებზე იფიქრე, თვალები მაგრად დახუჭე და ბევრი იოცნებე, რომ ყველაფერი აგიხდეს, რასაც ისურვებ. დილით რომ ვბრუნდებოდი და სკოლისთვის ვაღვიძებდი, ხშირად მეუბნებოდა: დე, ერთი სურვილი გაღვიძებისთანავე მისრულდება, დანარჩენები კი საერთოდ არა. რომელი აგისრულდა მეთქი, ვეკითხებოდი, ის კი მპასუხობდა: შენი რომ მალე დაბრუნდიო. მაშინ მე მას ვეხვეოდი და ვფიქრობდი, რომ ყველაფერი რაც მოხდა, ამაო არ იყო...

ქალი- მე არ მითხოვია შენგან მსხვერპლის გაღება, ნამდვილად არ მინდოდა, რომ გაცილებოდი და პროფესიაზე უარი გეთქვა. ყველაფერი ჩემი ბრალია, შენ ხომ გამაფრთხილე.

არიანა- მე არ მგონია, რომ მსხვერპლი ვარ. და ნურც შენ იფიქრებ ასე. ყველაფერი, რაც მოხდა, გარკვეული საფასურია, რომელსაც ვიხდით იმისთვის, რაც გვაქვს. ბანალურია, მაგრამ მარტივი, არა?

ქალი- არ ვიცი. მე არ მჯერა ამ ქრისტიანული რაღაცეების. ზოგი მთელი თავისი ცხოვრება ტრაკივით იქცევა და მშვენივრად გრძნობს თავს. არც ღმერთი სჯის კეთრით. ზოგი კი, ვინც სიკეთით მიუყვება ცხოვრების გზას და ჭიანჭველასაც კი არ აბიჯებს ფეხს, აყვავებულმა ტოტმა შეიძლება მოკლას, ასე რომ...

არიანე- იცი, ხანდახან ვფიქრობ, რომ ჩვენ კარგი მეგობრები ვიქნებოდით...

ქალი- მეგობრები?!

არიანე- რატომაც არა? მხარში ამოვუდგებოდით ერთმანეთს გაჭირვების დროს... ალბათ იმიტომაც გიპოვა რესომ, რომ ჩვენ ვერ მოვახერხეთ. და კიდევ იმიტომ, რომ... არასოდეს გიფიქრია, რომ შენი შვილი შეიძლებოდა ყოფილიყო?
ქალი- შეწყვიტე. არა. მხოლოდ იმას ვფიქრობ, რომ შენ დედა ხარ და როგორმე უნდა აუხსნა, რომ არ ღირს ჩემთან ურთიერთობა, ან მამამისთან გაუშვი და ის უფრო კარგად გააგებინებს. მართალია, მტკივნეული იქნება, ალბათ ერთი ორ ღამეს ბალიშებში თავჩარგული გაატარებს, სამაგიეროდ მის მომავალს საფრთხე აღარ დაემუქრება. ეს შენი ეზოთერული ბოდვა კი არაფერ შუაშია. იობი ხომ არა ხარ, რომ გამოცდა ჩააბარო. ჩემთვის სრულიად გაუგებარია, როგორ შეიძლება ტიპმა ყველაფერი დაკარგოს და განსაცდელის მედგრად გადატანისათვის ახალი ცოლი, ახალი შვილები და ახალი სახლი მიიღოს ჯილდოდ. და რა, ყველაფერი ისევ კარგად არის? ნუთუ აღარასოდეს გაიხსენებს პირველ ცოლს, პირველ შვილებს, პირველ სახლს? და საერთოდ, როგორ შეიძლება ვინმეს უნდოდეს, რომ ღმერთმა აურჩიოს ცოლი ? ასე რომ მორჩი რა, მოვეშვათ წარსულს.

არიანა- წარსული თუა, რატომ ღელავ ასე, რისთვის მოხვედი? მომისმინე. მე არ მჯერა, რომ საგნები მხოლოდ საგნებია და სიტყვები მხოლოდ სიტყვებია და მეტი არაფერი. ეზოთერიკა მართლა არაფერ შუაშია, და სწორედ იმიტომ, რომ არ მინდა ბოდვას ავყვე, ჩემი შვილის საქმეში არ ჩავერევი, მისი გადასაწყვეტია, ვინ უნდა რომ იყოს და ვისთან ერთად.

ქალი- შენ გესმის რას ამბობ? შენს შვილთან კავშირზე მიბიძგებ?

არიანე- შენ უკვე დიდიხანია ამაზე წახვედი.

8. ქალი, რესო, სანთლები ბნელ ოთახში. ან რამე ამდაგვარი აუცილებელია...

ქალი- ვერ ვიჯერებ, რომ საპნის ოპერა მოგწონს.

რესო- მერე რა, რომ საპნის ოპერაა? ძალიან ლამაზი სასიყვარულო ისტორიაა, რა არის ამაში ცუდი.

ქალი- რატომ უნდა მოვიდე ბინძურ ციხეში შენთვის ფულის სათხოვნელად ახალ კაბაში გამოწყობილი?

რესო- ამაყი ხარ და იმიტომ, არ გინდა მაჩვენო, როგორ გიჭირს, ვითომ სხვათაშორის, თითქოს უმნიშვნელოა: "ჰო, მართლა,ცოტა ფული ხომ არა გაქვს..." ასეა წესი.

ქალი- კი მაგრამ ციხეში თუ გამოგეცხადე, ხომ გასაგებია, რომ რაღაც მინდა შენგან.
რესო- კაცო, ეს ხომ თამაშია . რა არის ამაში გაუგებარი. ყველანი ვასრულებთ როლებს, ხან ნებით, ხან იძულებით. მერე დროთა განმავლობაში საკუთარ თავს ვკარგავთ, ვიხლართებით, სანამ რომელიმე სკარლეტი ან რეთი არ გადაგვეყრება გზაზე და არ გაგვათავისუფლებს. სწორედ ეს არის ამ ისტორიაში არაჩვეულებრივი: თან ათავისუფლებენ ერთმანეთს და თანაც გასაქანს არ აძლევენ - ცხოვრებაშიც ხომ ასე ხდება.

ქალი- რაკი თვითონ ვერ ხვდები, იძულებული ვარ გითხრა, რომ ცხოვრებაში სამწუხაროდ ცოტა სხვანაირად ხდება.

რესო- ჩემი ცხოვრების სცენარს მე თვითონ შევქმნი, და არა უშავს, თუ ცოტა შეიცვლება გადაღებებზე. სწორედ გზიდან გადახვევების, მოულოდნელობების, დაბრკოლებების, სისულელეების ჩადენის წყალობით იქმნება ნამდვილად კარგი ისტორიები.

ქალი- ეს ლირიკა შთამბეჭდავია, მაგრამ სამწუხაროდ უნდა გაგაწბილო: გადაღებებზე სცენარი იშვიათად არის ხელმისაწვდომი. მხოლოდ დასაწყისში, ვიღაცეების გემოვნებაზე მოსარგებად, მერე კი იმპროვიზაცია იწყება.

რესო- მერე იმპროვიზაციას რა სჯობს? მუდამ ჩარჩოში თამაში ხომ მოსაწყენია!

ქალი- არა, არა, და არა. ვერ ვიტან იმპროვიზაციას. უტვინო იმპროვიზირება საჩემო არ არის. ეს დილეტანტიზმია.

რესო- მერე რა? რაღა ინტერესია, თუ ყოველთვის ყველაფერი იცი.

ქალი- შენ რა სერიოზულად აპირებ რეთ ბათლერის როლის მომზადებას მისაღებისთვის? ნამდვილად ჩაიჭრები.

რესო- კი მაგრამ, რატომ? რითია რეთ ბათლერი სხვა პერსონაჟებზე უარესი?

ქალი- ეს ხომ კომერციული საპნის ოპერაა.

რესო- რას მიშავებს საპნის ოპერა, თუ ბედნიერი გამოვდივარ კინოდან?

ქალი- იმას, რომ არარსებულ სამყაროს გთავაზობს, შელამაზებულს და გამოშიგნულს. ცხოვრებაში ასეთი რამ არ ხდება, ასე, ამ ფორმით არ ხდება.

რესო- იცი რა, თუ უგემოვნებობის შიშით ცხოვრებას შანსს არ მივცემთ, მაშინ არც არაფერი მოხდება.

ქალი- რა მიამიტი ხარ. ძალიან მიამიტი. თუმცა ალბათ ასე გინდა.
რესო- კარგი რა, რამდენი ხანია გელოდები. ციხეში ცივა და ვირთხებია. დროა შენი ლამაზი უკანალი აწიო და ჩემს გასამხნევებლად მოხვიდე. მე კი თვალებში ჩაგხედავ და გეტყვი: “გამომართვი ცხვირსახოცი, ჩემო პატარა. შენი ცხოვრების გადამწყვეტ წუთებში ცხვირსახოცი არასოდეს გქონია თან.”

ქალი- აუტანელი ხარ.

რესო- თუ გინდა როლები გავცვალოთ. შენ რეთი განასახიერე. მე კი შენი სკარლეტი ვიქნები.

ქალი- გენიალური იდეაა.

რესო- შენ რა მამაკაცის თამაში არ შეგიძლია?

ქალი- მე? მე ყველაზე მამაკაცური მამაკაცი ვარ მსოფლიოში, არ იცოდი? მე მამაკაცი უფრო ვარ, ვიდრე ქალი. ოღონდ ტექსტი ძალიან სულელურია, გზადაგზა შევცვლი.

რესო- შენ ხომ იმპროვიზაციის წინააღმდეგი ხარ.

ქალი- როცა ასეთი ტუტუცობა გაქვს ხელთ, იმპროვიზაცია აუცილებელია.

/ცდილობენ გაითამაშონ სცენა ფილმიდან “ქარწაღებულნი”/

რესო- ახლა ხელი უნდა ჩამავლო, შენსკენ მიმიზიდო , თითქოს კოცნას მიპირებ და მითხრა: “ თვალები გაახილე და შემომხედე. არა, ნუ გგონია, რომ გაკოცებ, თუმცა შენთვის ეს აუცილებელია. ეს არის შენი პრობლემა. შენ ხშირად გჭირდება კოცნა, თანაც ისეთი მამაკაცისგან, რომელიც ამის აზრზეა.”

ქალი- მართლა ასე ამბობს? რა თავხედობაა.

რესო- რეთმა ზუსტად იცის, როგორ უნდა მოექცეს სკარლეტს. ისინი ისე გვანან ერთმანეთსა... სწორედ ეს უყვარს მასში, მაგრამ ქალი ძალიან გვიან ხვდება ამას. მთელი ფილმის განმავლობაში მას უნდა რომ სხვა

ვიღაც იყოს და ავიწყდება, როგორი არაჩვეულებრივია თვითონ, და როცა რეთი წავა, მაშინღა ხვდება, რომ მხოლოდ მასთან იყო ისეთი, როგორიც სინამდვილეშია...

ქალი- ბლაბლაბლა. კარგი, ვცადოთ. მოდი ჩემს მკლავებში, ჩემო პატარა. მე გაჩვენებ, როგორ კოცნიან ქალებს.

რესო- გაკვეთილის ეს ნაწილი ყველაზე მეტად მომეწონა. არ ვიცოდი, ასეთი მაჩო თუ იყავი.

ქალი- ხომ გითხარი, ბუნების შეცდომა რომ არა, მამაკაცად უნდა დავბადებულიყავი.

რესო- რატომ?

ქალი- ვიპოვიდი ჩემნაირ ქალს და გავაბედნიერებდი.

რესო- შენ შეგიძლია ჩემნაირი კაცი გააბედნიერო. “მე მხოლოდ ის ვიცი, რომ მიყვარხარ, რეთ”

ქალი- “არ გაგიმართლა, სკარლეტ”

რესო- ასეც ვიცოდი, ასეც ვიცოდი, ტექსტიც იცი და ეს ეპიზოდიც გახსოვს! შენ გიყვარს ეს ფილმი!

ქალი- რა სისულელეა. ეს ეპიზოდი ვინ არ იცის.

რესო- არ მჯერა. შენ მე რეპლიკაზე მიპასუხე. გამოტყდი.

ქალი- ნუ სულელობ!

რესო- გამოტყდი, გამოტყდი, გამოტყდი!

ქალი- კარგი, ჰო. ეს ეპიზოდი მომწონს. მაგრამ მხოლოდ ეს ერთადერთი ეპიზოდი.

რესო- სულ რამდენჯერ?

ქალი- რა რამდენჯერ?

რესო- რამდენჯერ გაქვს ნანახი?

ქალი- ღმერთო ჩემო, მომეშვი, ნანახი მაქვს ეს ფილმი და ეს დედააფეთქებული ეპიზოდიც მახსოვს, ისევე როგორც ალბათ ყველა ადამიანს ამ პლანეტაზე. მაგრამ საპნის ოპერების ერთგული მაყურებელი არა ვარ. ვერ ვიტან.

რესო- ვერც მე.

9. ჩაბნელებული ოთახი. ქალის ბინა, ხის იატაკით, ღვინის ბოთლებით, სარიტუალო ცეკვებით სავსე წარსულით და ბროწეულის სურნელით. ქალი სწრაფად აღებს კარს ან კარი გარედან იღება. ამას მართლა არა აქვს მნიშვნელობა. დარიო და ქალი

ქალი- რესო, ხომ გითხარი... რა...
დარიო- შენ რომ ... სამ წელიწადში გავჭაღარავდი... რათქმაუნდა ლამაზი სხეულითაც ვეღარ დავიკვეხნი, მაგრამ ძალიან შევცვლილიც არა ვარ. ასე ნუ მიყურებ ...

ქალი- აქ რა გინდა?

დარიო- შენი ნახვა მინდოდა.

ქალი- ჩემი ნახვა გინდოდა?

დარიო- შეიძლება შემოვიდე?

ქალი- საუკუნეა, რაც... მთელი ცხოვრება გავიდა ... და ცხოვრებაზე მეტიც.

დარიო- ვიცი. შენ კი ისეთივე ლამაზი ხარ. მხოლოდ თვალები გაგიხდა უმოწყალო.

ქალი- მოიცა, მოიცა....

დარიო- შენს სპექტაკლებზე ხშირად დავდიოდი. იმედიც კი მქონდა, რომ ფოიეში ან სადმე შევხვდებოდით ერთმანეთს. მაგრამ არ გამიმართლა...

ქალი- რესოს გამო ხარ აქ?

დარიო- რა? არა, არა იმდენი ვიცინე, რომ გავიგე. გამიხარდა, რომ, მოკლედ, ჰო რა, ერთად მუშაობთ და...

ქალი- გაგიხარდა?

დარიო- თვითონ მიამბო, თვალები უბრწყინავდა, აღრფთოვანებული იყო შენი ტალანტით, შენი...

ქალი- იცოდე, ძალიან მიყვარს. ..ჩვენს შესახებ.... არაფერი იცის

დარიო- შეიძლება მოგეხვიო?

ქალი- გაგახსენებ რა, რომ 20 წლის აღარ ვარ და არც 20 წლის გოგოსავით ვაპირებ მოქცევას.

დარიო- არ შეიძლება?

ქალი- არა, არ გაბედო ახლოს მოსვლა. რა გინდა?

დრიოა- შემთხვევით ხომ არ იცი რა როლს თამაშობ ამ ისტორიაში?

ქალი- მე მგონია, ახლავე უნდა წახვიდე.
დარიო- ძალიან ვწუხვარ.

ქალი- რას წუხარ?

დარიო- რომ ვერც იგრძენი, ისე გამტეხე. ასე მგონია, დრომ როლები გაგვიცვალა.

ქალი- როლები?

დარიო- სამართლიანიცაა, რომ ახლა მე ვარ მთხოვნელი.

ქალი- არასოდეს ვყოფილვარ მთხოვნელი. მე ვიყავი გოგო, რომელსაც სამწუხაროდ ტრაკი შეუყვარდა. რას იზამ, ხდება ხოლმე.

დარიო- უყვარხარ?

ქალი- შენი შვილი არ არის?- კითხე.

დარიო- მაინცდამაინც ახლო ურთიერთობა არა გვაქვს, როცა არიანე და მე გავცილდით, ის...

ქალი- შენმა ცოლმა გითხრა, რატომ გაგეყარა?

დარიო- რა უნდა ეთქვა? ეს ბევრად ადრე უნდა გვექნა, ძალიან დავშორდით ერთმანეთს, მაგრამ მერე რესო გაჩნდა და...

ქალი- ძალიან დაშორდით ერთმანეთს, არა...

დარიო- რას გულისხმობ?

ქალი- მიდი და შენს ცოლს კითხე. ეს ხომ თქვენი წარსულია. ბოდიშს ვიხდი, რომ შემთხვევით ჩავერიე. ეს არ უნდა მომხდარიყო. განკურნება შესაძლებელია. და მე განვიკურნე. და აღარაფერი მაქვს შენთვის სათქმელი.

დარიო- ივი...

ქალი- ივი,.. ასე მგონია, მას შემდეგ ჩემი სახელიც კი არ წარმოუთქვამს არავის...

დარიო- იქნებ ასეცაა.

ქალი- ჰო აბა არა, და მე ისევ ოცი წლის ვარ, შენ კი სულაც არა ხარ ტრაკი.

დარიო- ნუ ბრაზობ. ხომ გაგიარა სიბრაზემ?.
ქალი- რეპეტიციაზე ვარ წასასვლელი.

დარიო- მეც მენატრება შენი სახელი.

ქალი- ძალიან გთხოვ, მელოდრამის გარეშე რა, დროა წახვიდე.

დარიო- ჩემგან განსხვავებით შენ მოერიე შენს თავს. ბრავო.

ქალი- ეს რაღა იყო? რისი თქმა გინდა?

დარიო- შენ მოახერხე ჭრილობების მოშუშება, თავის დაღწევა და გზის გაგრძელება, შენ იპოვე წამალი, ტკივილი დაძლიე. ტრაკების როლები სხვებს გაუნაწილე, შენ კი გვირგვინი დაიდგი და ყინულის სამფლობელოში მბრძანებლობ, გრძნობებს განაგებ თამაშ-თამაშით,არტისტულად...ბრავო!

ქალი- ნეტა ვისგან ვისწავლე?!

დარიო- ივი, რატომ არ ეუბნები, ვინა ხარ სინამდვილეში?

ქალი- ეს ჩემი საქმეა, რას ვეტყვი და რას არა. შენ არავინ გეკითხება, სხვების გამოყენებაში შენ მაინც ვერ შეგედრები.

დარიო- გამოყენებაში?

ქალი- რა, არა? აღიარე რა, რომ დროდადრო საჭიროა პატარ-პატარა მოგზაურობები იმედებითა და ილუზიებით აღსავსე გულებში, სიყვარულისა და თავგანწირვის უნარი ჯერ რომ არ დაუკარგავთ! 20 წლისანები, რომელთაც შესწევთ ძალა მწარედ დაცემის შემდეგ ისევ წამოდგნენ , ჯადოქრებივით განახლებულნი. და ინიექციებივით ირგებენ სიყვარულის, ილუზიების და თავის მოტყუების შხამს.

დარიო- ივი, ის ხომ უდანაშაულოა...

ქალი- მეც, დარიო, მეც არაფერი დამიშავებია, ოდესღაც.

და- შენ ალბათ გგონია, შენი სილამაზე უფლებას გაძლევს, დაუნდობელი იყო, მე კი მგონია, რომ სხვისი დაუნდობლობისგან ვერ დაგიფარავს.

ქალი- არც დამიფარა. რომ იცოდე , როგორ არ დამიფარა!

დარიო- მომეცი ხელი.

ქალი- მე უნდა...
დარიო უახლოვდება. ეხვევა და კოცნის. ივი არ პასუხობს. მაგრამ იღებს ამ კოცნას, როგორც პატარა ჯილდოს. ოქრო თუ არა, ვერცხლი მაინც...

10. ნაწვიმარია და ჯერ კიდევ ბნელა, მაგრამ მალე ირიჟრაჟებს, აკანკალდები, და შვებას იგრძნობ. “ გლუმი სანდეი” კი აგრძელებს სამყაროს დადანაშაულებას ...

ივი- ივი. ივი ჩემი სახელია. რესო კი მანქანაში ზის. ეს ჩემი თავგადასავალია, და იმათიც , ვინც სევდიანი უნგრული სიმღერები იცის, ამ თავგადასავალში, რომელიც სულაც არ მინდა რომ ჩემი იყოს, ერთ სახეს ვერ ვპოულობ ჯერ კიდევ, ჩემს სახეს, იმას, რომელიც ყველაფრის გაერთიანებას და დანახვას შეძლებს. და ვერ ვპოულობ ერთ ნაწილს, იმას, რომელიც ამ ისტორიამ არ იმსხვერპლა , რომელიც შეიძლება დაავადებასაც გადაურჩეს, სულერთია, განკურნებადს, თუ უკურნებელს, ნამდვილს, ან თუნდაც გამოგონილს, ვინ იცის.
მაშ ასე, მე ივი ვარ, ჩემს სახელში სულ სამი ასოა, ჩემი ცხოვრება სულ სამი ადამიანისგან შედგება. და ეს სახელი, ჩემი სახელი, როგორც იწყება, ისე მთავრდება, ამიტომ იმის იმედიღა მაქვს, რომ დასასრული თავს მოერევა და დასაწყისში დამაბრუნებს, რომელიც არც თუ უიღბლო იყო, არა, სულაც არ იყო უიღბლო.

11. ბინა, რომელმაც უეცრად ისევ გამოიღვიძა... სულერთია რისთვის.
რესო, დარიო, ივი.

ივი- რა გინდა? ხომ გითხარი აქ აღარაფერი გესაქმება. თანაც...

დარიო- თანაც რა? მოდის? მით უკეთესი, იქნებ მიხვდეს, რა ნაგავიც ხარ...

ივი- აი ეს მესმის, ეს უკვე სულ სხვა ლაპარაკია. მსხვერპლის ნაცვლად თვით ღირსება და ბრწყინვალება მოგვევლინა ისევ. დიდებულია.

დარიო- როგორ შეგეძლო... ამდენი წელი, ამდენი დაკარგული დრო...

ივი- ამჯერად რა დავაშავე? სად და რით შევლახე შენი კაცური, მეფური, უზენაესი ღირსება? გითხარი, მოეშვი ჩემთან სტუმრობას...

დარიო- კმაყოფილი ხარ, არა? ზეიმობ, არა?

ივი- რა გჭირს, აღარ იტყვი? მეგონა, შევრიგდებოდით და ისევ დავმოყვრდებოდით, აბა რა, ამდენი იარები და ამხელა ასაკი, გზას აცდენილი შვილის დარდი და ასე შემდეგ...
დარიო- ამდენი წელი გავიდა... და ვერც ვერასდროს გავიგებდი, რატომ დამენგრა ოჯახი, რატომ გამომიცხადა ჩემმა ცოლმა, რომ ყველაფერი დამთავრდა და აღარაფერი გვაკავშირებს. რატომ ვეკითხები დღემდე ჩემს თავს, სად დავუშვი შეცდომა...

ივი- აქამდე არ იცოდი, არა, უცებ დაგარტყა თავში. მოულოდნელად გაგინათდა გონება. ამდენი წლის მანძილზე ერთხელაც არ გიცდია გაგეგო, რა მოხდა, აზრადაც არ მოგსვლია შენი ცოლისთვის მიზეზი გეკითხა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს გამომეცხადე, მნახე, და ცოლთან ლაპარაკის საბაბიც მოგეცა, ბოდიში, ყოფილ ცოლთან. მე კი , როგორც ყოველთვის, ბოროტების განსახიერება აღმოვჩნდი, პანდორას ყუთი. მაგრამ ამჯერად იმედს გაგიცრუებ - აღარ გაგივა. მინდა იცოდე, როგორი კმაყოფილი ვარ, რომ შვილმა, რომელიც მეც შეიძლებოდა მყოლოდა, ჩემთან ყოფნა მოინდომა და...

დარიო- შვილებთან, რომლებიც ყავთ ან შეიძლებოდა ყოლოდათ, არ ძინავთ, ივი.

ივი- ჩათვალე, რომ არ გამიგონია. და მომისმინე. ყველაფერს გეტყვი. ყველაფერში კი იმას ვგულისხმობ, რომ ვალს მოვიხდი და უკანასკნელად და აუღელვებლად გაგანდობ, რომ აღარაფერი მაქვს შენთვის სათქმელი, რომ წარსული უკან მოვიტოვე და რომ შენი შვილი უკვე დიდია და თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას...

დარიო- ჩემ ცოლთან როგორ მიხვედი? როგორ ჩარიე შენს ცხოვრებაში, ხომ იცოდი, რომ წარმოდგენაც არ ქონდა..

ივი- შენ, როგორ გამიშვი? რატომ გამიშვი?

დარიო- მე მეგონა, მოერიე თავს და გაგიარა...

ივი- მოშორდი აქედან!

დარიო- ხმა არ ამოუღია. არასოდეს აუხსნია, რატომ თქვა უარი საყვარელ საქმეზე, ... ჩემთვის არც კი უთქვამს, რომ...

ივი- მოშორდი!

დარიო- როგორც ჩანს მოშორება არ კმარა. ეტყობა მარტო მოშორება არ უშველის ამას. ეტყობა...

ივი- რა გინდა , რა ვერ გაგირკვევია? რა გაწუხებს? შენი წყეული შეცდომები ხომ არა? შენი წარსული? შენი დანგრეული ოჯახი? შენი ყალბი თეორიები სიყვარულის შესახებ? თუ საკუთარ შვილზე ეჭვიანობ, რომ უკეთ ახერხებს...

დარიო- რას ბოდავ? როგორ არ გრცხვენია? შენთან იმის სათქმელად მოვედი, რომ ... რომ მას ...შენ... რამდენიმე საათის შემდეგ კი შევიტყე, რომ თურმე დანაშაულის გრძნობა ტყუილად მტანჯავდა, რომ ყველა ჩემი გრძნობა- ამაო იყო!

ივი- შენ არა ხარ ერთადერთი, ვისაც არ გაუმართლა, დარიო, შეგიძლია ამით ინუგეშო თავი.

დარიო- ერთი მითხარი, ადამიანობის ნატამალი მაინც არ შეგრჩა? შური გინდა იძიო, გინდა დამიმტკიცო, რომ განიკურნე, და ისეთი ჯანმრთელი ხარ, რომ მეტი არ შეიძლება, ამაშია საქმე, ამისთვის იყენებ, და უსინდისოდ ღვრი უდანაშაულო სისხლს.

ივი- სად დაინახე სისხლის გუბე?

დარიო- მითხარი, გიყვარს?

ივი- მოკეტე.

დარიო- გიყვარს? გიყვარს? მიპასუხე და წავალ...გიყვარს?

/შემოდის რესო/.

რესო- აქ რას აკეთებ? საიდან გაჩნდი...?

დარიო- დაჯექი.

ივი- წადი, დარიო. გეყოფა.

დარიო- დაჯექი, რესო.

ივი- მოშორდი ბოლოსდაბოლოს!

დარიო- შენხელა იყო, როცა ჩვენ...ერთი წლი განმავლობაში... როცა დაორსულდა...

ივი- არ გინდა.

დარიო- მივატოვე. არიანე ორსულად იყო, შენზე ...

ივი- შეწყვიტე.

რესო- რას ლაპარაკობ, არ მესმის, ივი, რას ამბობს?

ივი- ტყუის..

დარიო- იმ სიმღერას, შენი სახელით, მასთან ერთად ვუსმენდი...

რესო- ეს რას ნიშნავს, ივი? რატომ ამბობს ამას? ხმა ამოიღე, ივი...

დარიო- შენ არაფერ შუაში ხარ.

რესო- ივი...

ივი- არა...

დარიო- უთხარი, როგორ გიყვარვარდი, უთხარი, უთხარი, როგორ დამდევდი, როგორ დამინგრიე ცხოვრება, უთხარი,რომ თავიდანვე იცოდი, ვინც იყო, ვისი შვილიც იყო... უთხარი, რისთვის გჭირდებოდა, რატომ...

/რესო გაქვავებული დგას და მათ უყურებს. დარიო ეხვევა ივის და მაგრად უჭირავს, ისე მაგრად, როგორც არასდროს...
რესო გარბის. ივი ეძახის. დარიოს მაგრად უჭირავს./

დარიო- დამშვიდდი... ახლავე მოვძებნი, ახლავე დავაბრუნებ, შენთვის, ივი, თუ ასე გინდა... თუ გინდა. შენ სამუდამოდ დამრჩი ყელში გაჩხერილი ძვალივით, ეს არ გინდოდა.?.. ასეც მოხდა.

ივი- შენ ჩემთვის უკვე მოკვდი, დარიო. და ახლა გმარხავ. აღარაფერს წარმოადგენ ჩემთვის. აღარ არსებობ. მაგრამ თუ ახლავე არ გამიშვებ, მაინც მოგკლავ.

გარბის.

12. მანქანაში, რომელიც ქარივით მიქრის. სიბნელე მანქანის გადარეულ შუქს ებრძვის.

ივი- გაჩერდი გთხოვ, ძალიან გთხოვ, გაჩერდი... ყველაფერს აგიხსნი, მე ... რესო, დამიჯერე, ძალიან ვწუხვარ...

რესო- ეს ის სიმღერა არ არის? ის სიმღერაა, აი, შენთვის ჩავიწერე, ჰოდა მოვუსმინოთ, მოდი...

ივი- გაჩერდი, გაჩერდი, ამის დედა ვატირე!

რესო- არც იფიქრო... ხელები გაწიე.

ივი- რესო, გეხვეწები, გეხვეწები... არ გეგონოს, რომ მის გამო... მის გამო არასოდეს... ეს გრძელი ამბავია, რესო- გადაუხადე სამაგიერო? ახლა ისევ განიკურნე?

ივი- ძალიან გთხოვ, არც კი იცი საით მიექანები.. გთხოვ... არ არსებობს განკურნება. არასოდეს. მაგრამ არა უშავს... ზოგჯერ განკურნება უარესია , რესო...

რესო- მოგწონს სიმღერა?

ივი- ცოტა ნელა მაინც იარე... ყველაფერს აგიხსნი... ფრთხილად!

რესო- ისე როგორი იყო? იცოდა, როგორ უნდა დასნეულება...

ივი- არა, არა, ავადმყოფად მაქცია...

რესო- შენ კი რად მაქციე, რა მიქენი?

ივი- მე არაფერი.. მე მხოლოდ...

რესო- ცრუობ, ივი. მოდი, იმღერე, აყევი, ტექსტი ხომ იცი, ხომ იცი, როგორ მთავრდება...

ივი- გთხოვ. მორჩი.

რესო- როგორ უნდა მოვრჩე, როცა არც კი დამიწყია.

ივი- გაჩერდი, გაჩერდი. ცუდად ვარ...

რესო- მეც.

შეჯახება. წამით დრო ირევა და მერე ისევ ლაგდება. ყველაფერი თავის ადგილზე დგება. წონასწორობა აღდგენილია. აწმყოს შეუძლია მოვიდეს....

ეპილოგი.

ტყეში. ცა ლურჯად იფერება. წვიმა შეწყდა. მანქანის შუქი ჩაქრა. აკუმულატორი დაჯდა თუ სიკვდილმა ჩააქრო?

/ სასურველია ყველა მსახიობი/

ივი- შენ არა გაქვს სიკვდილის უფლება. ერთად არც კი გვიცხოვრია, შენ უნდა იცოცხლო. რაც მოხდა, არ უნდა მომხდარიყო. არც ერთი მათგანი მე არა ვარ. მე სიმღერით გაგაღვიძებ. სხვა სიმღერას გიმღერებ. ხელს გამოვითავისუფლებ, ტკივილს არ შევუშინდები, ჩანთას მივწვდები, გახსნასაც შევძლებ და პატარა სარკეს მოვძებნი, რამდენი წელია აქ არის, ჩემს ჩანთაში, ჩემს ცხოვრებაში, და არც კი შემიმოწმებია, რას მაჩვენებდა.

ახლა ჩემს თავს ვხედავ. ჩემს სახეს ვხედავ. შემხმარ სისხლს ჩემს სახეზე. ვხედავ ჩემს დასვრილ თმას, მიწით, ტოტებით, ფოთლებით, სისხლითა და მოჩვენებებით სავსეს.

ჩემი ანარეკლი ისეთი ახალგაზრდაა. და ისეთი ბებერი. ჩემი ანარეკლი ისეთია, როგორიც შენთან არასოდეს ვყოფილვარ. სარკეს თავისუფალი ხელით დავამსხვრევ, ერთ ორ ნაკაწრს რაღა მნიშვნელობა აქვს.

მე მანქანის შუქს ვხედავ. შუქი მიახლოვდება და გათენებას მინათებს. ვიცი, სულ რამდენიმე წამი მაქვს, რომ ნარჩენების აკრეფა მოვასწრო, იმისი, რაც კი ჩემი დამსხვრეული ნაწილებისგან, წარსული დღეებისგან, ყველა ჩემი შესაძლებლობებისგან და ჩემი გასრესილი სხეულისგან შემომრჩენია და ვიყვირო, ხმის ჩახლეჩამდე, რომ მანქანა გაჩერდეს, ადამიანი გადმოვიდეს და აქედან წამიყვანოს. როგორც უნდა და სადაც უნდა, ოღონდ ჩემგან შორს. თუ დამჭირდა, გაშეშებულ ფეხსაც მოვიმტვრევ, იდაყვებზე წამოვიწევი, ყურადღებას მივიქცევ და ავფეთქდები. მიღირს. ცოცხალი დავრჩე ან აქ დავრჩე. ეს იყო ჩემი სნეულების არსი. იმ საშინელ და იმ ბედნიერ წელიწადს.